სახალხო გაბათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იესე ნინოშვილი

● № 1 (4576) ● 30 იანვარი ● 2019 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი

როცა გული გულობს

სიკეთე ქმენ, გზაზე დადე...

ტყუილი ტყუილიაო, ამბობენ. არ არის ასე: იცრუა **ცოტნე დადიანმა** და მონღოლთა მომდევნო სიმხეცისაგან იხსნა სამშობლო; იცრუა **თევდორე მღვდელმა** და თურქ მაოხრებს ხელში შეაცივდათ ქართლის იავარსაყოფად გაშიშვლებული იათანგანები.

ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ორივე გმირი წმიდანად შერაცხა.

მაგრამ არის ტყუილი, რუსთველის თქმით, ჯერ ხორცს რომ ავნებს და მერმე სულს. ასეთი ტყუილი პირველწყაროა ყოველივე მზაკვრობის, ღალატის, სიბილწისა და სიმხდალის.

ასეთ – ადამიანის ხორცითა და სულით გამხრწნელ-დამცემ ტყუილთაგანია ფარისევლობა, მოჩვენებითობა. შვიდგზის მიმართავს მათ ვაი თქვენო, მაცხოვარი და ასკვნის: **„იქედნეთა ნაშობნო გველებო! როგორ გაექცევით გეენის სასჯელს?“** (მათ. 3,7).

ქველმოქმედება ქველიდან – მოწყალე, კეთილი, მხნე, გულოვანი – არის ნაწარმოები და უანგარო დახმარებას ნიშნავს. აი, ასეთს – სიკეთე ქმენ, გზაზე დადე, გამოივლი, წინ დაგხვდებაო, ბრძნულად რომ გამოთქვა ხალხმა.

მაშ, რატომღა ამბობს ეკლესიის დიდ მამათაგანი, ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზა ქველმოქმედებითაა მოკირწყლული? პარადოქსია?

არა, ბატონო. მან ე. წ. ქველმოქმედებანი იგულისხმა. ზარ-ზეიმითა და პომპეზურობით აღნიშნულ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესღა რომ გაახსენდებათ ხოლმე ხელისუფლების „ზეპურ მამებსა“ თუ, მათთან ერთად, ყოველი ჩვენგანის ყვლეფით გამდიდრებულ-გაქსუებულ მავანთა და მავანთ მიუსაფარი ბავშვები და ე. წ. ტელეჟურნალისტების ხროვების თანხლებით რომ ჩამოუვლიან, ფარისევლურ-ქლესა ღიმილით მოეფერებიან, რაღაც-რაღაცეებს მოუკითხავენ პატარებს და ზღურბლს გადმობიჯებულთ უმალ ავიწყდებათ კიდევ ერთი წლით ისინი (არადა, რა გვეზეიმება?! ორ აგურს უნდა ვიცემდეთ თავში აქეთ-იქიდან! ვისგან ვიცავთ ბავშვებს? ჩვენი, ზრდასრულთა ძალადობისგან! უნდა შეგვრცხვეს, ძალზე უნდა შეგვრცხვეს ასეთი დღის – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის – დაწესების აუცილებლობისა, თორემ მართლაც დაღუპულა კაცობრიობა და ეგაა!). მერე კი ყველა ტელეკომპანიის ყველა საინფორმაციო გამოშვება გამოწვლილვით, ხოტბის შესხმით გადასცემს ამ ფარისევლობას. აი, ასეთი და ამგვარი ქველმოქმედებითაა მოკირწყლული ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზა.

„იქედნეთა ნაშობნო გველებო! როგორ გაექცევით გეენის სასჯელს?“

მაშ, არც ყველა ტყუილი ყოფილა ტყუილი და ქველმოქმედება – ქველმოქმედება.

არის ფსიქოლოგიაში ასეთი ცნება –ქცევის ფსიქოლოგიური საფუძვლები. ანუ, რითაა განპირობებული ადამიანის ესა თუ ის ქმედება. გარეგნული ბრწყინვალების მიღმა ხშირად ეგოიზმი, ფორმალობა და ფარისევლობაა „მიმალული“. თავმდაბლობა კი სიალალეს, უანგარობას, განაპირობებს. **ისე ქმენ სიკეთე, რომ შენმა მარცხენამ არ უწყოდეს, რას სჩადის მარჯვენაო; ვინაც თავი დაიმდაბლოს, იგი ამაღლდესო; უშურველად გაეცი და სარგებელს ნუ ელიო...** გვმოძღვრავს **უფალი** და, მადლობა **ღმერთს**, რომ მისი სწავლება არ რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. გვგვყავს ჭეშმარიტი ქველმოქმედნი, სიკეთის მთესველნი, ვისი ერთადერთი, მაგრამ აუწონავი ჯილდოც მომავალი თაობების ნიჭის, უნარ-ჩვევების გამოვლენა-განვითარება და მათი სწორ, ღვთის სათნო გზაზე დაყენებაა.

თბილისის ხელოვნების მე-19 სკოლაზე, მის უნიკალურ პედაგოგთა კოლექტივსა და ასევე უნიკალურ დირექტორზე, მრავალი ჯილდოს, ტიტულის მფლობელ, საზოგადო მოღვაწეზე ბატონ **თამაზ მოლაშვილზე** ადრეც წერდა ჩვენი გაზეთი. წერდა, თუ როგორი რუდუნებით, სათუთად და მართლაც მშობლიური მზრუნველობით ევლებოდა და ევლება სკოლას თავს ყოველ აღსაზრდელს, რამდენი უნიკალური ბავშვთა სასიკეთო წამოწყების ავტორია ეს მართლაც უნიკალური სკოლა. და კიდევ ერთი დიდებული, ხორცშესხმული წამოწყება.

თუ ბუნებაში ერთნაირად დამუხტული ნაწილაკები, საგნები განიზიდება, განგების ნებითა და ძალისხმევით, ერთი ნებით, ერთი გზნებით, ერთი მისწრაფებით გულანთებული ადამიანები მიიზიდებიან, დუღაბდებიან და ერთად მიილტვიან დიდი მიზნისაკენ.

ასე შეახვედრა ერთმანეთს განგებამ ბატონი თამაზი და 168-ე სკოლის დირექტორი ქალბატონი **მაია ხმალაძე**, ვინც სრულად ამართლებს გვარს – ყმაწვილების სასიკეთოდ ამოღებული ხმალია. ქალბატონი მაია ბატონი თამაზის ნამოწაფარია. მას მერე კარგა ხანი გამოხდა,

გაგრძელება მე-2 გვ.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

პირველი გვერდიდან

სიკეთე ქმენ, გზაზე დადე...

ლოცვა მიცვალებულთათვის: „მოიხსენე, უფალო, სულნი გარდაცვალებულთა მონათა შენთა ზაქარიასი და ალექსანდრესი. მიუტევენ მათ ყოველივე შეცოდებანი მათნი და მიეც მათ საუკუნო ხსენება“.

მაგრამ ახსოვს რაოდენი გულის სითბო უძღვნეს, რაოდენი ამაგი დასდეს მე-19 სკოლაში და ეს რომ ახსოვდა, ეს რომ იცოდა, აიხდინა დიდი ხნის ოცნება – 168-ე სკოლაში მუსიკალური განათლება შეიტანა და მერე როგორი დონის!

მაია ხმალაძე: „მჯეროდა, რომ ბატონი თამაზი, მე-19 სკოლის პედკოლექტივი აუცილებლად ამიხდენდა ოცნებას – ჩემი მოსწავლეები მაღალ ხელოვნებას ზიარებოდნენ. ეს განსაკუთრებით აუცილებელი პერიფერიის სკოლებშია. ადრე ჩემი გეგმები მავანთ რომ გავაცანი, ჩაიქირქილეს, ეს ხომ უტოპიააო. წარმოიდგინეთ, ზოგი ინსტრუმენტი 8 ათასი ლარი ღირს. სკოლაში კი ძალზე ბევრი სოციალურად დაუცველი ყმაწვილია. დაკვრა კი არა, თვალითაც ვერ იხილავდნენ ასეთ ინსტრუმენტს! ბავშვები მშვენიერებას ეზიარებიან, სული უფაქიზდებათ. რამდენი ჩამოვაცილეთ ასე ქუჩას, რამდენის ნიჭი, უნარ-ჩვევები გამოვლინდა და განვითარდა! უმთავრესი კი სწორედ ესაა“.

დავაკონკრეტოთ: გაფორმდა ხელშეკრულება და მე-19 სკოლის პედაგოგები: **თინათინ იმერლიშვილი** (ვოკალი), **გენადი ცისკარიშვილი** (ქორეოგრაფია), **გიორგი გაგნიძე** (ტრომბონი), **მზია რაზმაძე** (მუსიკის თეორია), **ელისო კიკნაძე** (კონცერტმეისტერი), **მარინა ჩხობაძე** (ბლოკფლეიტა, ჰობოი), **ომარ კოტიშაძე** (საქსაფონი, კლარნეტი), **ნოდარ გაბედავა** (ფაგოტი), **თინათინ მჭედლიშვილი** (ფორტეპიანო) უსასყიდლოდ ასწავლიდნენ 168-ე სკოლის მოსწავლეებს. ასეა, როცა გული გულობს!

168-ე სკოლაში გამართულ კონცერტზე წუთიერი დუმილით მიაგებეს პატივი ორ დიდებულ პედაგოგს, მუსიკოსს, ადამიანს, ვინც თავჩარგულნი რუდუნებით უძღვნიდნენ ყოველივეს საყვარელ საქმეს. ეგებ, ყველას ასე რომ ემუშაკა ოდითგანვე, თითოეულს ასეთი გზნებითა და პატიოსნებით ეშრომა, აღარც დემეტრეს დასჭირვებოდა თავდადებულობა, აღარც დავითს აღმაშენებლობა, აღარც გიორგის ბრწყინვალეობა, აღარც ამდენ უსახელო უფლისციხელს თავგანწირვა. სწორედ ასეთებზე იდგა, დგას და იდგება საქართველო! დიდი ოქროს მედლის მფლობელი ბატონი **ზაქარია პირმისაშვილი** და საქართველოს დამსახურებული არტისტი ბატონი **ალექსანდრე ქუთათელაძე**, ვინც 80 წლისანი, არც ამ საშვილიშვილო სიკეთეს გამოკლებიან და 168-ე სკოლის აღსაზრდელებსაც უზიარებდნენ თავის უდიდეს ცოდნას, გამოცდილებასა და უკიდეგანო სიყვარულს.

ამ ქველმოქმედების უკეთ გასასიგრძეგანებლად – ინსტრუმენტების ღირებულება: საყვირი, ფლეიტა – 600-600 ლარი; ვალტორნა, ტრომბონი, საქსაფონი – 1700-1700; ალტი – 1500; ტუბა, ფაგოტი – 7000-7000; ჰობოი – 3000; კლარნეტი – 700; ტრომბონი, რიტმ და ბასგიტარები – 1200-1200.

ეს მინიმალური ფასებია! ანუ, ამაზე იაფ ინსტრუმენტებზე ვეღარ იმუშავებ, ვერ გამოიყენებ. მართლაც კარგი ინსტრუმენტები კი გაცილებით ძვირია. პაგანინი ხომ იმიტომაც იყო იგავმიუწვდომელი შემსრულებელი, რომ სტრადივარიუსის ვიოლინო ეპყრა!

მაგრამ აქაურები ხმალს სიმოკლით, ანუ ინსტრუმენტებს „სიიაფით“ არა წუნობენ. ინსტრუმენტის ნაკლს პედაგოგთა ოსტატობა, ყმაწვილების ნიჭი და მონდომება ავსებს. მოუსმინეთ, ერთადერთხელ მოუსმინეთ მათ და მყისვე დარწმუნდებით ამაში.

გამოვკვეთოთ, ასე დავაკონკრეტოთ ქალბატონი მაის ზემოთქმული – ვინ აღირსებდა ყმაწვილებს ასეთი ინსტრუმენტების თუნდაც შეხებას? აღირსეს კი არა, ისე დააოსტატეს, ისეთი გზნებით აღანთეს პედაგოგებმა, მერწმუნეთ, თუ გასაქანი ექნათ, აუცილებლად ასახელებენ საქართველოს!

168-ე სკოლის კოხტა სააქტო დარბაზში გამართულ კონცერტს ოსტატურად უძღვებოდა ქალბატონი **თინათინ იმერლიშვილი.** ემოციურად, ფაქიზად ჩაერთობოდა ხოლმე ქალბატონი **მაია.** საამო სანახავი იყო ამ საშვილიშვილო სიკეთის სულისჩამდგმელის ბატონი **თამაზის,** ორივე სკოლის პედაგოგების, მშობლების სიხარულით გაცისკროვნებული სახეები.

ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა **„ათინათმა“** (ხელმძღვანელი – **გიორგი ცისკარიშვილი**) „აჭარული“ იცეკვა, გუნდმა შეასრულა **„ნათლიები უმღერიან პატრიარქს“ (თინათინ იმერლიშვილი,** კომპოზიტორი – **მანანა იმედაძე;** ტექსტი – **ნანა დარჩიაშვილის).** სოლო ნომრები: **კოროვიცინის** „თოჯინები“, **იშვინის** „უნგრული საცეკვაო“, **ბაკლანოვის** „მხიარული საცეკვაო“, **ზ. ფალიაშვილის** „რაჭული სახუმარო“, **კემბერის** „სიმღერა“, **პოპის** „შვედური კონცერტი“, სპეციალურად ამ დღისადმი მიძღვნილი ქალბატონ **თინათინის** „გაიხარეთ!“. ორკესტრმა შეასრულა **ო. თაქთაქიშვილის** „საფესტივალო მარში“, ხალხური „მეგრული სახუმარო“, **რ. ლაღიძის** „მხედრული“ (დირიჟორი – ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი **არჩილ ბაკურაძე).**

კონცერტს ესწრებოდა სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე.** მან აღფრთოვანება გამოხატა ყმაწვილების საშემსრულებლო ოსტატობით, მადლობა გადაუხადა, ფაქტობრივად, ენთუზიაზმზე მომუშავე პედაგოგებს და დახმარებას დაჰპირდა მათ. ოღონდ, და ეს ძალზე დამაიმედებლად მეჩვენა, ბრტყელ-ბრტყელი დაპირებები არ დაუხვავებია. საღად, ობიექტურად შეაფასა ვითარება, ასე ნაუცბადევად კონკრეტულს ვერაფერს დაგპირდებითო და სთხოვა, შევხვდეთ, დავსხდეთ და მოვითათბიროთ, რა და როგორ გავაკეთოთ ამ ბავშვების სასიკეთოდო.

სტენდი: **„ეს მონატრებული საქართველოა“** – ლაზეთი, ტაო; სააქტო დარბაზში გამოფენილი: **„ყველა ადამიანში მზეა, ოღონდ აცადეთ, რომ ანათოს“; „წიგნი ოცნებაა, რომელიც შეგიძლია ხელში დაიჭირო“; „განათლება ჰგავს მზეს, რომელიც ისე არ ანათებს, რომ არ გაათბოს და ისე არ ათბობს, რომ არ გაანათოს“** ასახავს იმ სულისკვეთებას, რაც 168-ე საჯარო სკოლაში სუფევს – სამშობლოსთვის ჰარმონიული პიროვნებების აღზრდა.

* * *

თბილისის საკრებულოს ასეთი საპატიო სტუმრები, ვეჭვობ, ოდესმე ჰყოლოდა – ხელოვნების მე-19 სკოლის გოგონათა უნიკალური და შერეული ორკესტრები. რატომ უნიკალური?

საქართველოში ერთადერთი გოგონათა სასულე ორკესტრია და იმიტომ. ღმერთმა უწყის, რაოდენ ძალისხმევად დაუჯდათ ორკესტრის ჩამოყალიბება ბატონ თამაზსა და პედაგოგებს. თანაც, ეს გოგონათა მერამდენე თაობაა? საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, გოგონათა ორკესტრი სულ გამარჯვებების გზით მიაბიჯებდა, მაგრამ უსახსრობის, დროის სიმუხთლის გამო, იშლებოდა. თუმცა, მონდომება ყველა სიძნელეს დაძლევს ხოლმე და აღორძინდა გოგონათა უნიკალური ორკესტრი.

გოგონათა და შერეულმა ორკესტრებმა (დირიჟორები – **ალექსანდრე მწარიაშვილი** და **სერგო ტყაბლაძე**) დიდებულად შეასრულეს ქართველ და უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. საკრებულოს ტევად, ხალხით გადაჭედილ ფოიეში აპლოდისმენტები ქუხდა.

გახსოვთ, გოგონათა ანსამბლი „მზიური“, გაერომ რომ ჩაწერა რეზოლუციაში: **„უჩვენეთ ეს გოგონები მსოფლიოს და ომი აღარ იქნე-**

გაგრძელება მე-3 გვ.

სწავლების მეთოდიკა

ერთი დღე შებრუნებულ საკლასო ოთახში

როგორც ვიცით, ინტერაქტიური სწავლება გულისხმობს საგაკვეთილო პროცესში ახალი სტრატეგიების, მიდგომებისა და შეფასების ხერხების დანერგვას. აქედან გამომდინარე, იცვლება სწავლების მიზანიც. გაკვეთილის ახსნა-დასწავლა-ჩაბარების ჯაჭვს ენაცვლება ახალი მასალის დამოუკიდებლად გააზრება და კლასში საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობებით განმტკიცება.

ამ წერილში მინდა მოგითხროთ სწავლების ერთ-ერთი ნოვაციური მეთოდის შესახებ, რომელიც ბოლო რამდენიმე წელია სკოლებში, კოლეჯებსა თუ უნივერსიტეტებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ხარისხის ნიშანს წარმოადგენს.

ეს არის **„შებრუნებული საკლასო ოთახის“** მეთოდი. ეს მიდგომა გულისხმობს მასწავლებლისა და მოსწავლის როლების შეცვლას, რაც, თავის მხრივ, მოტივაციის ამაღლებას უწყობს ხელს. ინტერაქტიური სწავლების მომხრენი მიიჩნევენ, რომ გაკვეთილი მოსწავლისთვის სიახლის გაცნობით უნდა იწყებოდეს, რადგან, თუ ის გაკვეთილის დასაწყისშივე გაერკვევა მისთვის უცნობ საკითხებში, ფაქტებსა თუ მონაცემებში, მისი მოტივაცია, სიღრმისეული სწავლის თვალსაზრისით, აუცილებლად გაიზრდება. ასე, რომ, აღნიშნული მეთოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგნის მიმართ შემეცნებითი ინტერესისა და მოტივაციის გაღვივებისთვის.

ტრადიციულ გაკვეთილზე მასწავლებელს ინდივიდუალური მიდგომების განსახორციელებლად დრო თითქმის არ რჩება. სწორედ მსგავსი სიტუაციიდან თავის დასახსნელად შეგვიძლია გამოვიყენოთ შებრუნებული საკლასო ოთახის ფორმატი, სადაც პედაგოგი თითოეულ მოსწავლესთან უშუალო კონტაქტს შეძლებს. რაც მთავარია, შებრუნებული გაკვეთილის მთავარ მიზანს, ცოდნის მიღებასთან ერთად, მრავალმხრივი უნარების გამომუშავება წარმოადგენს.

სასურველია, მოსწავლე მარტო არ დარჩეს უცნობ მასალასთან მუშაობის დროს, ამიტომაც ჯგუფური აქტივობები ინტერაქტიური გაკვეთილის განუყოფელი ნაწილია. ამას გარდა, თანამშრომლობითი სწავლის უნარების განვითარების უკეთეს შესაძლებლობას ვერც წარმოიდგენთ.

აღნიშნული მეთოდით გაკვეთილის დაგეგმვა შეიძლება ხშირად ვერ შევძლოთ, თუმცა მისი ძირითადი ხედვა, რომ მივცეთ მოსწავლეს ახალი მასალის ინდივიდუალურად გაცნობის და საკუთარი დამოკიდებულების გაჩენის საშუალება, ყველა ახალი საკითხის გავლისას უნდა გავითვალისწინოთ. რაც უნდა რთულად ასათვისებელი იყოს მასალა, მასწავლებელი უნდა შეეცადოს, მოსწავლეს, **მზა პასუხის ნაცვლად, მისკენ მიმავალი გზა დაანახოს.**

მოსწავლეებს სასწავლო მასალა მიეწოდებათ დისტანციურად. ისინი მოიძიებენ, კითხულობენ დამხმარე მასალას, უყურებენ მითითებულ ვიდეოებს, ხვდებიან ერთმანეთს სკოლაში, სკოლის გარეთ ან აწყობენ ონლაინ-დისკუსიას და ჯგუფურად ამუშავებენ საგაკვეთილო რესურსს საშინაო დავალების ფორმატში. საკლასო შეხვედრები კი მრავალფეროვან ჯგუფურ აქტივობებს და პრაქტიკულ სავარჯიშოებს ეთმობა. გაკვეთილზე მასწავლებელს გაცილებით მეტი დრო რჩება, რათა დაეხმაროს და დააკვირდეს მოსწავლეებს, დროულად გამოავლინოს ახალ მასალასთან დაკავშირებული სირთულეები და განმარტოს გაუგებარი საკითხები.

ახალ ფორმატზე გადასვლა საკმაოდ რთული პროცესია, როგორც მასწავლებლისთვის, ასევე მოსწავლისა და მისი მშობლებისთვის. გაუგებრობის თავიდან ასარიდებლად სჯობს, დროულად უზრუნველყოთ მათი ინფორმირება თქვენ მიერ დანერგილი სიახლის შესახებ.

შებუნებული საკლასო ოთახის მოდელს უმეტესად უნივერსიტეტებში იყენებენ, თუმცა, აღნიშნული მიმართულების გამარტივება და სასკოლო სივრცეში დანერგვა დიდ სირთულეს ნამდვილად არ წარმოადგენს.

შებრუნებული გაკვეთილის შედეგიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად არიან მომზადებული მოსწავლეები მსგავსი გამოწვევისთვის. სანამ მათ გაკვეთილის მართვის სადავეებს გადავცემდეთ, საჭირო უნარები უნდა გამოვუმუშაოთ, მაგალითად: გავაცნოთ კლასს ახალ მასალაზე მუშაობის სხვადასხვა ხერხი, განვიხილოთ და ერთობლივად შევასრულოთ ამა თუ იმ ტიპის დავალება და სხვ.

უკეთესი იქნება, თუ გაკვეთილს ტექნიკური მიმართულებითაც გავამდიდრებთ. დავალების შესრულებისას შეგვიძლია გამოვიყენოთ მრავალფეროვანი ინსტრუმენტები: **თემატური ვიდეოგაკვეთილები, საგანმანათლებლო საიტები, მინიტესტების ელექტრონული ვერსია, საძიებო სისტემა (google); საოფისე პროგრამები: Word, PowerPoint, ელექტრონული ლექსიკონი (ena.ge)** თემატური ვიდეომასალებისთვის — youtube.com და სხვ. სასწავლო საფეხურიდან გამომდინარე, მოსწავლეებს შებრუნებული გაკვეთილისთვის მოსამზადებლად უმეტესად ტექსტურ მასალას ვაწვდი. დავალების შინაარსი შედგება მკაფიო ინსტრუქციებისგან, ახალი მასალის გააზრების ხარისხს კი საგნის ფორმატის შესაბამისი მრავალფეროვანი აქტივობებით ვამოწმებ.

მოსწავლეს თავიდანვე კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული, რომ ის თავად არის გაკვეთილის თანაავტორი — სასურველი მიმართულებით წარმართავს პროცესს, მის ხელშია ამა თუ იმ პრობლემის მოგვარების ბერკეტები, რაც გამბედაობას და მოულოდნელი გადაწყვეტილებების მიღების უნარს მოითხოვს. გაკვეთილებზე, სადაც მასწავლებლის როლი შესუსტებულია და მისი ჩართულობა მხოლოდ მოსწავლის ინიციატივის ხელშეწყობით შემოიფარგლება, როგორც წესი, დისციპლინური პრობლემები ნაკლებად იჩენს თავს.

და ბოლოს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვიდეო გაკვეთილები – პრეზენტაციები და დამხმარე ტექსტური თუ აუდიო-ვიდეო მასალა მხოლოდ რესურსია. მიუხედავად იმისა, რომ მასზე მუშაობა საკმაოდ დიდ დროს და ენერგიას წაგვართმევს, **მთავარი ყურადღება მაინც საკლასო ოთახში განსახორციელებელი აქტივობებისკენ უნდა მივმართოთ,** რადგან ინტერაქტიური სწავლა-სწავლების ძირითად მიზანს სწორედ მოსწავლესთან პირისპირ შეხვედრისთვის გამოყოფილი დროის მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენება წარმოადგენს.

მანანა გუმბერიძე,
თბილისის მე-10 საჯარო სკოლის ინგლისური ენის წამყვანი პედაგოგი.

მეორე გვერდიდან

სიკეთე ქმენ, გზაზე დადე...

ბა“. ეს ყმაწვილებიც უჩვენეთ მსოფლიოს და ომი აღარ იქნება: **მაია კოროხაშვილი, ქეთევან შაქარაშვილი, მადონა გაგნიძე, გიორგი ოთინაშვილი, ბეჟან დემეტრაშვილი, ცოტნე ხარებაშვილი, სოფიო ბერულავა, გიორგი აბშილავა, ანდრეი გვასალია, ილია გვასალია, ნიკოლოზ გურაშვილი, გიორგი პირველაშ-**

ვილი, საბა სხულუხია, ბარბარე ქარდავა, ესაია ქარდავა, გუგა ასათიანი, ვახტანგ აბშილავა, გიორგი კვიციანი, მარიამ არაბული, ნიკოლოზ ელბაქიძე, ხატია გოგსაძე, მეგი ფარცვანია, მახმედ ბაირამ ოღლი, ირაკლი მილაძე, მარიამ ქევხიშვილი, მიხეილ ჯაგარიანი, ინა მაჩკალოვა, ნინო ჩარგეიშვილი, მარიამ პაპიაშვილი, თამარ ჩაფიძე, მარიანა ჩაფიძე, ნია ფარასტაშვილი, ბარბარე წითლაური, დარეჯან სახვაძე, მარიამ ნიკოლაიშვილი, გიორგი შენგელია.

საკრებულოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა სტუმრებს დიდებული კონცერტისათვის და ბატონები: **თამაზ მოლაშვილი, ალექსანდრე მწარიაშვილი, სერგო ტყაბლაძე, არჩილ ბაკურაძე** და **ემზარ გვარამაძე** საპატიო სიგელებით დააჯილდოვა.

ეს ყმაწვილები ჩვენი ქვეყნის მომავალია. ოღონდ, ამ მომავალზე დღესვე უნდა ვიზრუნოთ. აღმოსავლური სიბრძნე გვასწავლის, ვინც დააგვიანა, უკვე წააგო. წაგებული კი კვლავ და კვლავ ქვეყანა დარჩება. მიეცი ნიჭსა გზა ფართოო. ეს ნიჭი და უნარი ხომ ისევ და ისევ ქვეყანას გამოადგება?! ნუთუ, ეს ასე ძნელად გასასიგრძეგანებელია?!

ბატონო ვაიქველმოქმედნო! დაუდექით გვერდზე ბატონი თამაზისა და ქალბატონ მაიას, მე-19 და 168-ე პედაგოგთა მსგავს ადამიანებს. მოეშვით ფარისევლობას. ეს თქვენვე გადაგარჩენთ – უფლისკენ

მოგაქცევთ და სამშობლოს მრავალი ნიჭიერი ყმაწვილის აღზრდაში დაეხმარებით.

მაშინ აღარ იქნება თქვენი გზა ჯოჯოხეთისკენ მიმავალი ვითომ ქველმოქმედებით მოკირწყლული; მაშინ დადებთ სიკეთეს გზაზე, გამოვლილთ კი წინ დაგხვდებათ სამშობლოსა და ერის სადიდებლად და, ეგებ, დაგვიდგეს დრო, როცა ასეთი უნიკალური ქმედებანი ყოველდღიურ აუცილებლობად, შინაგან მოთხოვნილებად გვექცევა, როგორც ბატონ თამაზს, ქალბატონ მაიას იმ დიდებულ პიროვნებებსა და პედაგოგებს, ვინც სულსა და გულს აქსოვს ამ ყმაწვილების აღზრდასა და მათი ნიჭის გაფურჩქვნაში.

კონსტანტინე გურგენიძე

წმინდა ნინოს მართლმადიდებლური სკოლის მისია

თაობათა იშვიათი სათქმელი...

გარემო და ადამიანები დიდ გავლენას ახდენს მოზარდის ჯანსაღი აზროვნების ჩამოყალიბებაში, ადამიანის ნიჭის და შესაძლებლობების სწორი მიმართულებით წარმართვაში...საკუთარი თავის პოვნასა და საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებაში, მომავლის აგურ-აგურ შენებაში, როგორც მყარი, საიმედო კედლის...

თანამედროვე ეპოქის სკოლა დიდი და საპასუხისმგებლო გამოწვევების წინაშეა!

თამამად რომ გაჰყვე ამ გზას გული უნდა გქონდეს სუფთა. გააცნობიერო მასწავლებლის განსაკუთრებული მისია სამყაროში, ის დაწერილი და დაუწერელი კანონები, რომელიც ანთებული სანთელივით მომავალის გზამკვლევი სინათლეა. მოქმედებისთვის ერთი დროა - აწმყო, სხვა რეალური შანსი არ გაქვს - წარსული იყო, მომავალში ის იქნება, რასაც დათესავ ახალგაზრდა გონიერ გულსა და სულში...

თაობათა იშვიათ და ყველაზე საპასუხისმგებლო სათქმელს ხშირად მამათა და შვილთა ბრძოლას არქმევენ... ეს გარდაუვალი პროცესია.

ცხოვრებაც ხომ ბრძოლაა, სისუსტეთა დაძლევისა და საკუთარ თავზე გამარჯვებისთვის.

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის მისიაც ეს გახლავთ, ქართულ ეროვნულ ფასეულობებზე დაფუძნებული ძნელი, დაბრკოლებებით აღსავსე გზა, სადაც ერთ გუნდად შეკრული ადამიანებისთვის უმთავრესი მაღალი აკადემიური განათლება და ის ზნეობრივი ღირებულებებია, რომლებიც მოსწავლეებს საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებასა და პოტენციალის რეალიზებაში დაეხმარება. უმაღლეს დონეზე მოწესრიგებული და კეთილმოწყობილი სკოლა მათ უქმნის ურთიერთპატივისცემასა და თანასწორობაზე დამყარებულ შემოქმედებით გარემოს.

სწორედ რომ მომავალი ჩვენს ხელშია – მათი გონებრივი და სულიერი წრთვნა უდიდესი კეთილშობილური საქმეა, ადამიანის სწორად აღზრდა უმთავრესი პრიორიტეტია მსოფლიო ცივილიზაციების განვითარებაში.

დღეს მასწავლებლობა ჯარისკაცობის ტოლფასი მისიაა, ეს კარგად აქვთ გაცნობიერებული სკოლის ადმინისტრაციას და პედაგოგებს. მაშინ,როცა მოსწავლეების ათეულობით თვალი შემოგყურებს, გისმენს და ცდილობს მასწავლებლის საუბარში კეთილი ტონი, მარცვალი დაიჭიროს, რაც აღმოაცენებს ნდობას, პატივისცემას, სიყვარულს, სწავლისა და კონკრეტული დისციპლინის მიმართ...

ხშირია იმედგაცრუებაც ...

...და ამ ეკლიან გზაზე ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია. მასწავლებელი ხომ შემოქმედია, მოაზროვნე, რომელმაც ათასობით გონება კეთილშობილი იდეებით აანთო და მათ, ბოთლიდან ამოსული ჯინივით ათასი სასწაული მოახდინეს მეცნიერებასა და ხელოვნებაში...

თანამედროვე ეპოქის ადამინებს, მით უფრო მომავალს, აზროვნების კონკრეტულ ჩარჩოებში ვერ მოაქცევ. მათი თვალსაწიერი იმდენად მასშტაბური და მრავალფეროვანია, ზოგჯერ უსწრებს მოძღვრისას და ამ შემთხვევაში **საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლა** ლიბერალურია და მეტიც, სკოლა **თვითმმართველობის კვირეულში** მაღალი კლასის მოსწავლეებს ანიჭებს უფლებას სხვადასხვა საგნებში ჩაატარონ **იმპროვიზირებული გაკვეთილები**, სადაც გამოკითხვის და ახსნის პროცესში ჩართავენ პედაგოგიკის იმ ელემენტებს რასაც ისურვებენ რომ მოისმინონ ან გაიგონ თანამედროვე სკოლის სხვადასხვა გაკვეთილებზე .

ლალი მელივა, დირექტორი: სკოლის დამფუძნებელი საქართველოს საპატრიარქოა, რომელიც გვერდში დამიდგა და ჩემი ინიციატივა რეალობად აქცია. მინდოდა ბავშვებისთვის ისეთი გარემო შემექმნა, რომელიც მათ გულთან და სულთან ახლოს იქნებოდა. 10 წლის განმავლობაში, ჩვენ შევძელით, რომ სწავლება თანამედროვე სტანდარტების დონეზე წარიმართოს, ჩვენი მოსწავლეები დიდი წარმატებით აბარებენ ეროვნულ გამოცდებს.

სკოლის დაარსებიდან მოყოლებული თითოეული წელი წარმატებების მომდევნო ეტაპია. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ყოველი წლის ბოლოს მე-12 კლასელების მიერ წარმატებით ჩაბარბული საატესტატო და ეროვნული გამოცდების შედეგებია, ამბობენ, უმაღლესი ხელოვნება, მხატვარი და მოქანდაკე მხოლოდ უსიცოცხლო ქანდაკებებს ქმნიან, ბრძენი აღმზრდელი კი ქმნის ცოცხალ სახეს, რომლის ცქერაც ღმერთსაც უხარია და ადამიანსაც.

წმინდა მამების სწავლებით – **ვისაც მხოლოდ რწმენა გააჩნია უფლის მონაა, ვისაც შეზავებული ცოდნაც აქვს უფლის მეგობარია.**

მეტი პატივის ღირსნი არიან ისინი, რომლებიც თავდაუზოგავად იღვწიან მომავალი თაობის აღზრდას ემსახურებიან. ყრმა დაუწერელი დაფაა დასახატად გამზადებული, რასაც აღბეჭდავ მასზე, ის დარჩება. ჯერ თვითონ უნდა იყო ის, რადაც გსურს სხვა აქციო საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე და მიღწეული შედეგი. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა პედაგოგს, რომლებიც მოღვაწეობენ წმინდა ნინოს სკოლაში, რომ არა გუნდის უშურველი სიყვარული და ერთგულება ამხელა წარმატებებს ვერ მივაღწევდით. სწავლა ინფორმაციის დაგროვების, უნარჩვევებისა და დამოკიდებულების განვითარებაა, სწავლაში მოისაზრება არა ერთი კონკრეტული გზის გავლა, არამედ მასწავლებლის და მოსწავლის მიერ ერთობლივად შერჩეული ოპტიმალური ვარიანტის ძიებაა, მთავარი ორიენტირი არა ცოდნის ოდენობა, არამედ მისი ხარისხია. საამაყოა თითოეულ ჩვენი მოსწავლე, რომლებიც წარმატებებით გულს გვიხარებენ. ასევე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მთელ საქართველოს, ქართველ ერს, საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს მივულოცო **შობა-ახალი წელი**, მშვიდობა და ღვთის მადლი არ მოკლებოდეს სრულიად საქართველოს.

მამა ანდრია ჯალმაიძე (სკოლის მოძღვარი): მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში რამდენიმე წელია არსებობს **სტემის** (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, ინფორმაციული ტექნოლოგიები) საგანმანათლებლო პროგრამა. ამ მიმართულებით, საპატრიარქო დგამს პირველ ნაბიჯებს, რომელიც, ჯერჯერობით, საჯარო სკოლებშიც კი არ არის და **ეს სკოლა ორიდან ერთ-ერთია**, ვინც ეს პროგრამა და ელექტრო-რობოტიკის (პრაქტიკული ფიზიკის) გაკვეთილები დანერგა თავის წიაღში. მაღალკლასელებისთვის ყოველ კვირას ტარდება **მოძღვრის საათი**, ზნეობრივი ღვთისმეტყველების ხასიათის საუბრები, თუ როგორ შეაფასონ თავიანთი ცხოვრების ესა თუ ის მოვლენა, ქრისტიანული თვალსაზრისით.

მაია ბენია, ბიზნეს-ადმინისტრირების დოქტორი: ჯერ კიდევ თუ სადმე ნამდვილი ფასეულობები შემორჩენილა თუ სადმე ბავშვები მთრთოლვარე ხმით კითხულობენ ლექსს სამშობლოზე, დედაზე, მშვენიერებაზე, სიყვარულზე, ეს სწორედ ის ოაზისია წმინდა ნინოს სახელობის სკოლა. წმინდა ნინოს საკრალურობა ქართველებისთვის ყველაზე განსაკუთრებულია და სკოლა ამართლებს სახელს, ეროვნულ იდეოლოგიას, შინაარსსა და ყველაზე მნიშვნელოვან მისიას. სკოლა სწორედ ის ადგილია, ვინც უნდა აღზარდოს მომავალი

თაობა, ჩაუნერგოს ქვეყნის სიყვარული, სიწმინდეთა პატივისცემა, ერთიანობა და მეგობრობა. ამ წიაღში აღზრდილი ბავშვები ნამდვილად მოეფერებიან ოჯახსაც, ქვეყანასაც, ასახელებენ მოუვლიან და ააშენებენ.

„არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით რომ ეს გარემო იმ ღირებულების მატარებელია; რომელსაც **სერ კენ რობინსონი „ელემენტს“** უწოდებს – ღვთაებრივ შერწყმას, რომელიც ცოდნას და შეგრძნებას, გულს და გონებას, პროფესიულ და პიროვნულ ღირებულებებს აერთიანებს.“

სკოლა ცხოვრებაა, რომელიც თავსდამტყდარი ქარიშხალია - ცხოვრების მისია და მიზანი, სადაც ,,ასაყვავებლად გამოსხმული კვირტების გადარჩენაზე უნდა ფიქრობდე, შენი კალთით უნდა ათბობდე, რომ მათაც არ დაუზამთრდეთ, რომ ქარმა ძირს არ ჩამოყაროს და ფეხქვეშ არ გათელოს ყოველი... უშიშარი უნდა იყო, როგორც ხელმწიფე და ჯიუტი, როგორც შეშლილი... შენს კვირტებს უნდა ათბობდე, სადაც არ უნდა იყო და რა ცეცხლიც არ უნდა გიდუღდეს გულში...“ (**ქეთევან ირემაშვილი**, იურისტი)

ირინე კვანჭიანი, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელი: ჩვენი სკოლა ერთ-ერთი პირველი ჩაერთო მასწავლებელთა სქემაში, სამწუხაროდ, ტრენინგებით კერძო სკოლის პედაგოგები განებივრებულები არ ვართ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სკოლამ ყველა სიახლეს აუღო ალღო და, ვთვლით რომ, თანამედროვე გამოწვევებს ნამდვილად ვპასუხობთ. სკოლაში არსებული ურთიერთშეთანხმებული და პატივისცემაზე დამყარებული თანამაშრომლობა პროფესიული განვითარების საფუძველი და მოსწავლეებთან მაღალი აკადემიური შედეგების მიღწევის გარანტია, რასაც ადასტურებს ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულთა მიერ წარმატებით ჩაბარებული ერთიანი ეროვნული გამოცდები და ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული სხვადასხვა ოლიპადებში მონაწილე ჩვენი მოსწავლეების გამარჯვებები.

სწავლის პროცესის პარალელურად მიმდინარეობს სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებში, გამოფენებში, მუსიკალურ კონკურსებსა და საჭადრაკო ტურნირებში აქტიური მონაწილეობა. აღსანიშნავია, ჭადრაკის პედაგოგის **მირანდა მიქაძის** ორგანიზატორობით, არაერთგზის ჩატარებული თამაშის სეანსები საერთაშორისო დიდოსტატ **ნინო ბაცაშვილთან**. ასევე, სკოლაში არსებობს ქართული ხალხური და საეკლესიო გალობის შემსრულებელი წმინდა ნინოს სახელობის მართლმადიდებლური სკოლის **ანსამბლი.** 2018 წლის მაისში, საგუნდო საზოგადოების მიერ ორგანიზებულ კონკურსში, ანსამბლმა გალობის განხრით — **ოქროს დიპლომი** და **ოქროს მედალი** აიღო, ხოლო ხალხური სიმღერის განხრით – I ადგილი. ასევე, ფუნქციონირებს ქართული ხალხური საკრავების შემსწავლელი ჯგუფი.

ხატვის წრის ხელმძღვანელის, პედაგოგ **მარი მჟავიას** მოსწავლეების ნამუშევრები მართლაც რომ თვალსაჩინოა როგორც ფერწერაში, ასევე ხატვასა და კომპოზიციაში.

საგაკვეთილო პროცესს თვალყურს ადევნებს ფსიქოლოგი **ელენე არღვლიანი** და პრობლემიდან გამომდინარე ადეკვატურ რეკომენდაციებს აძლევს როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებსა და მშობლებს.

ვფიქრობ, სკოლა მაინც ყველაზე წმინდა ადგილია, უმანკო სულის ნავსაყუდელი, სადაც შეგირდიც და მასწავლებელიც უდიდეს პასუხისმგებლობას უნდა გრძნობნენ ერთმანეთის გასაძლიერებლად. როგორც გასული საუკუნის პედაგოგი მწერალი და ექიმი **იანუშ კორჩაკი** აღნიშნავდა: ბავშვი – ეს არის ცხოვრების ნაჩუქარი წმინდა ჭურჭელი, რომელსაც უნდა მოუარო, და შემოქმედებითად შეავსო, ის დროებით მოსავლელად მობარებული სულია...

ახალ წელს ახალ წარმატებებს გისურვებთ ამ სკოლას!

მარიამ გურგენიძე

ᲡᲐᲰᲐᲚᲮᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ+

ჩვეულებრივი ღონისძიების საახალწლო ხიბლი

ჩემმა ძველმა და კეთილმა მეგობარმა, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ისნის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ქეთი ხეტეშვილმა თბილისის 172-ე სკოლაში დაგეგმილ ღონისძიებაზე მიმიწვია - უბრალოდ, მოდი და ნახე, ამ სკოლაში რა ხდებაო.

ხანგრძლივი და მწარე ჟურნალისტური გამოცდილებიდან და საქართველოში განვითარებული უცნაური საპროტესტო აქციებიდან გამომდინარე, კარგს და სასიამოვნოს არაფერს ველი: დირექტორმა თანამშრომლები სამსახურიდან უკანონოდ დაითხოვა, მასწავლებლებს ხელფასებს უგვიანებენ, მშობლები პედაგოგებს უხეშობასა და არაკომპეტენტურობაში ადანაშაულებენ,

კედელი ჩამოიქცა და მერიამ ყურადღება არ მიაქცია, მოსწავლეებმა ერთმანეთში სისხლიანი ანგარიშსწორება მოაწყეს...

ალბათ ამ მოლოდინების ბრალია, რომ გზა თბილისის ისტორიული ცენტრიდან ვაზისუბნამდე უსაშველოდ გრძელი მეჩვენება, სკოლის ეზო - მოუვლელი და მიტოვებული, შენობა - ძველი, პირქუში და დანგრევის პირას მისული... შესასვლელთან ზორბა ყვითელთმიანი ქალი თვალებს მრისხანედ აკვესებს...

შევდივარ.

ვრცელ ვესტიბიულში ჩუმი ხმაური დგას - სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, სტუმრები; მინის კედლის გასწვრივ - გრძელი მაგიდა; მაგიდა, სკამები, ფანჯრის რაფები, იატაკი უცნაურად დახუნძლულია ულამაზესი ტრადიციული საახალწლო სათამაშოებით: ნაირნაირი ნაძვის ხეები, თოვლის ბაბუები, ანგელოზები, ვარსკვლავები, ტაიჭები, დათუნიები, ფისუნიები, ბაჭიები, გირჩები... ისეთი სათამაშოები, სახელს რომ ვერ დაარქმევ და გულში ჩახუტება რომ მოგინდება.

172-ე სკოლის დირექტორი **დავით ბრეგვაძე**: ამ ტრადიციას საფუძველი 2014 წელს ჩაეყარა. მაშინ გამოცხადდა კონკურსი მოსწავლეების მიერ შესრულებულ საახალწლო სათამაშოებზე. კონკურსი ორჯერ ჩატარდა და ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა ხელოვნების პედაგოგების **ლილი სილაგაძისა** და **ნანა ოდიკაძის** გულმოდგინე შრომის შედეგად ორივეჯერ პრიზები დაიმსახურეს. მერე კონკურსი გაუქმდა და სწორადაც. აბა, სცადეთ და, ამ ასეულობით ნამუშევრიდან საუკეთესო აირჩიეთ! - ყველა ორიგინალურია, ყველა სხვადასხვა მასალისგანაა დამზადებული, ყველა ულამაზესია, ყველა თავისებური შედევრია. აი, ნახეთ, ეს ნაძვის ხე ბამბის ფთილებისგანაა, ეს - გირჩისგან, ეს - ნეილონის ნარჩენებისგან, ეს - ნაფოტებისგან, ეს კი - მაკარონისგან... ბავშვის გამომგონებლური ნიჭი უსაზღვროა. კონკურსი კი გაუქმდა, მაგრამ არც ჩვენ და არც სხვა სკოლებს ამ ლამაზი ტრადიციის გაგრძელებაზე უარი არ გვითქვამს. შედეგს თავად ხედავთ. ხელოვნება იქით იყოს. რასაც ის აძლევს ადამიანს, მით უფრო, ახალგაზრდა ადამიანს, ახლა ამაზე ლაპარაკი, ალბათ არ ღირს. ჩვენი ერთი მეშვიდეკლასელი ბიჭი ავტოავარიაში მოხვდა. გადარჩა, მაგრამ დღემდე კომაშია. ვეხმარებით, რითაც შეგვიძლია, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია - უცხოეთში მკურნალობა სჭირდება. ჰოდა, ბავშვებმა მოიფიქრეს, საახალწლოდ ეს სათამაშოები დაემზადებინათ, გაეყიდათ და შემოსული ფული მისთვის გადაერიცხათ... ჩვენც მხარში ამოვუდექით... მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ისნის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ქალბატონ **ქეთი ხეტეშვილს** ამ ღონისძიების მხარდაჭერისა და მხარში დგომისთვის... ის მუდამ აქტიურად თანამშრომლობს ჩვენს სკოლასთან და პედაგოგების სახელითაც ვუხდი მადლობას.

დირექტორი მეტს არაფერს ამბობს. ვხედავ, ცოტაც და, შეიძლება გული ამოუჯდეს. მეც იქა-მდე ბევრი არ მიკლია.

მაგიდასთან უფროსკლასელი ბიჭები ერთმანეთში რაღაცას საქმიანად ჩურჩულებენ. ოთხნი არიან. მერე სწორდებიან, სახით ჩვენსკენ ბრუნდებიან და ომახიანად იწყებენ - **„ალილოოო...“** მონუსხულებივით ვუსმენთ. მერე ცოტას კიდევ წაიჩურჩულებენ და **„მრავალჟამიერს“** აგუგუნებენ.

სიმპათიური ქალბატონი ჭიქა ყავაზე გვეპატიჟება. მესამე სართულზე, დირექტორის მოკრძალებულ კაბინეტში ავდივართ. იქ უკვე გველოდებიან ისანი-სამგორის რაიონის რესურსცენტრის (ოდესღაც განათლების განყოფილება რომ ერქვა) ხელმძღვანელი **მეგი წიკლაური-როსტომაშვილი** და კიდევ ერთი ქალბატონი – სოფო, ალბათ მისი მოადგილე. რატომღაც ისტორიაზე დაწყებული ძალდაუტანებელი საუბარი ძალიან სწრაფად გადადის განათლების თანამედროვე პრობლემებზე. ვთანხმდებით, რომ ამ სფეროში ძალიან, ძალიან ბევრი პრობლემაა – კადრების მომზადება, სააღმზრდელო საქმიანობა, სახელმძღვანელოების სრულყოფა, სწავლების მეთოდოლოგია, მასწავლებლის ანაზღაურება, სკოლების ტექნიკური აღჭურვა, სპორტი, რემონტი, მშენებლობა, დაცვა...

ამასობაში კიდევ ხუთკაციანი ჯგუფი გვიერთდება - ისნის რაიონის გამგებელი **კახა ლაბუჩიძე**, მისი მოადგილეები და კიდევ რამდენიმე თანამშრომელი, ვისაც განათლების პრობლემები თანამდებობრივად ეხება. გულწრფელად რომ ვთქვა, მაოცებს გამგებლის ხაზგასმული თავმდაბლობა, საზრიანობა, უშუალობა და, რაც მთავარია, განათლების პრობლემატიკის ღრმა ცოდნა. როგორც ქალბატონმა ქეთიმ მითხრა, შეხვედრაზე იგი მხოლოდ წინა დღით მოიწვიეს და ამ მოკლე დროში სპეციალურად მომზადებას ვერ მოასწრებდა. სკოლის დირექტორის, გამგებლისა და რესურსცენტრის ხელმძღვანელის საუბარში გამოჩნდა, რომ გამგებელმა ზუსტად იცოდა ყველაფერი, რა ხდება, ზოგადად, განათლების და, კერძოდ, რაიონის განათლების სისტემაში; რომელ სკოლაში რა სახის რემონტი ან სამშენებლო სამუშაოებია ჩასატარებელი; რომელი სკოლის ან საბავშვო ბაღის ეზოა მოსაწყობი; რომელი ობიექტია, საერთოდ, დასანგრევი და თავიდან ასაშენებელი; რა სახის სამუშაო რა ჯდება და რა შესაძლებლობა გააჩნია ბიუჯეტს; ამ თვალსაზრისით, რას აკეთებენ თბილისის მერია, რაიონის გამგებლობა, პირადად გამგებელი და რეალურად რას შეიძლება ველოდოთ უახლოეს მომავალში.

არ თქმულა არცერთი სიტყვა ბოლო დროს საქართველოში განვითარებულ მახინჯ პოლიტიკურ ინსინუაციებზე.

დირექტორმა ბოდიში მოგვიხადა, ჩავიდეთ, ვესტიბიულში ბავშვები გველოდებიანო.

ბავშვების გონით, მონდომებით და ხელებით გაკეთებული უცნაური და ულამაზესი სათამაშოებით მოკაზმულ ვრცელ ვესტიბიულში ისევ ჩუმი ხმაური დგას. გამგებელმა, რესურსცენტრის უფროსმა, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ისნის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ, სხვა სტუმრებმა საახალწლო საჩუქრები შეარჩიეს და შეიძინეს. ერთი პატარა თოვლის პაპა მეც ვიყიდე. ერთხანს ვათვალიერე, იქნებ მივხვდე, რა მასალისგან არის გაკეთებული-მეთქი. მერე უბეში ჩავიდე. მომეჩვენა, რომ... არა, არ მომჩვენებია - მთელ ტანში თბილმა ჟრუანტელმა დამიარა.

172-ე სკოლის შენობა სარემონტო, მაგრამ სუფთა და კოპწიაა, ეზოც შესანიშნავად მოვლილია. ულამაზეს უცნობ ქალბატონს, ხელში უცნაური სათამაშო ძაღლი რომ უჭირავს, ფოტოებს ვუღებ. ისიც ობიექტივს ალალი ღიმილით უყურებს. ნაცნობ ყვითელთმიან, ძალიან სიმპათიურ ქალს თვალები უციმციმებს, მე

და ქალბატონ ქეთის ახალნაყიდი ნაძვის ხის უცნაურობებზე გველაპარაკება და გვეპატიჟება, ახლა მანქანით მეუღლე მომაკითხავს და სადაც მეტყვით, მიგიყვანთო...

მოვდივარ და ვფიქრობ, რა ბედნიერია ის მეშვიდეკლასელი ბიჭი, ამდენი მოყვარული და მეგობარი რომ შეიძინა, ამხელა სიყვარული დათესა, ამდენ ადამიანს მადლის საკეთებლად უბიძგა...

ამ მადლმა, სიყვარულმა, თანადგომამ, შრომისმოყვარეობამ, სხვისი ტკივილის გაზიარების ნიჭმა მოგვიყვანა დღემდე და სწორედ ეს გაგვითენებს ბედნიერ ხვალეს.

თეიმურაზ ქორიძე

სტუმრად რადიოში

განათლება — სწორი აზროვნების საფუძველი

გაზეთი - რადიოში, რადიო - გაზეთში!

რადიო საქართველოს ხმა: ფმ 107.9., შაბათს (12 იანვარს, 2019 წ.) 17:00 საათზე, **ვაჟა კაკაბაძის** საავტორო გადაცემაში: განათლება — სწორი აზროვნების საფუძველი, სტუმრად იმყოფებოდა **ზურაბ ქობალია** – გამომცემლობა **„ზენაარის“** დამფუძნებელ/დირექტორი. გაზეთ **„სახალხო განათლება+“**-ის რედკოლეგიის თავმჯდომარე. ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდ „სახალხო განათლება+“-ის თავმჯდომარე.

გადაცემის თემა იყო **„გაზეთის როლი საგანმანათლებლო სისტემაში“.**

წამყვანმა და სტუმარმა ისაუბრეს ამ მწვავე საკითხის ირგვლივ. შეეხნენ ბევრ საინტერესო საკითხს. აღნიშნეს პრობლემები, რაც დგას გაზეთის წინაშე. გაზეთი და წიგნი არის წიგნიერების საფუძველთა საფუძველი, რომლის გარეშეც განათლების მიღება და განვითარება შეუძლებელია.

სამწუხაროდ, უკვე დიდი ხანია გაზეთებისადმი ინტერესი დაკარგულია, როგორც მოსახლეობის, ასევე ხელისუფალთა მხრიდან. თუმცა მისასალმებელია, როგორც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობის, **ილია მეორეს** ინტერესი თავისუფალი პრესისა და განათლების მიმართ, რაც მან აღნიშნა თავის საშობაო ეპისტოლეში, ასევე საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივა, რომ მან უნდა შექმნას სარეზერვო ფონდი, რითაც მხარში დაუდგება განათლების სფეროს.

ორივე ინიციატივა მოიწონეს და ფართოდ გააშუქეს წამყვანმა და სტუმარმა.

ჩვენი რედაქცია და მისი რედკოლეგია მიესალმება მსგავსი სახის თანამშრომლობას, რომელიც აუცილებლად გამოიღებს შედეგს: ხელს შეუწყობს განათლების ხარისხის ამაღლებასა და საზოგადოებაში განათლებისკენ შემობრუნების პროცესს.

რაც შეეხება საგანმანათლებო სისტემის განვითარებაში გაზეთის როლს, ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ გაზეთი ერთ-ერთი საძირკველთაგანია საგანმანათლებო სისტემისა, რომელიც ხელს უწყობს მომავალი თაობის აღზრდასა და განვითარებას ქვეყნის მომავლისა და მისი განვითარებისათვის თაობების ჩამოყალიბებაში.

გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია

ოფშკვითის საჯარო სკოლა – 125

გელათის აკადემიის ღირსეული მემკვიდრე

ამ რეცენზიის სათაური პირობით – სიმბოლურია. გელათის აკადემია მუდამ იყო დასავლეთ საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო, ასევე სახელმწიფოებრივი აზროვნება-საქმიანობის მეგაირახტრე. ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქად გადაქცევის იდეა, რომელიც ბევრჯერ გვსმენია, სწორედ იმ მდიდარი ტრადიციების გამოძახილია.

ამ თემაზე მეცნიერულ მსჯელობაში ვერ შევიჭრებით, მაგრამ ერთ არგუმენტს მაინც მოვიშველიებთ: ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტს (დღეს უნივერსიტეტს), როგორც მასწავლებელთა კადრების სამჭედლოს, საქართველოში პირველობას რომ ვერავინ ართმევდა, შემთხვევითი მოვლენა არ გახლავთ.

ერთ-ერთი ღირსეული მემკვიდრე ამ ეროვნული ტრადიციებისა **წყალტუბოს რაიონის ოფშკვეთის საჯარო სკოლაა** და იგი იუბილარია, მიმდინარე წელს **125 წლისა** გახდება და მის ისტორიას ეძღვნება საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის, ღირსების ორდენის კავალერის, ღვაწლმოსილი ჟურნალისტის **ციალა ღვინიანიძის** დიდებული მონოგრაფია: **„ოფშკვითის საჯარო სკოლა“**.

დღეს განათლების სისტემას მძიმე ხანა უდგას. სკოლა, მასწავლებელი დაბალ ღობედ არის მიჩნეული. რაზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესიდან გაძევებულია ბურჯი ეროვნებისა, **იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“,** ასევე პროგრამიდან ვერაგულად ამოაგდეს **რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“**, რომელზეც თაობები ვიზრდებოდით?.. ვაი, რომ დღეს ეროვნული სიამაყის გრძნობა მოჩლუნგებული გვაქვს და, თითქმის, ყველაფერში სხვის მიმბაძველად ვიქეცით! მშურს **მიხეილ ლომონოსოვისა**, რომელიც თავის „**ოდაში**“ სიამაყით წერდა: **„რუსეთის მიწას შეუძლია შვას საკუთარი პლატონები და სწრაფი ნიუტონებიო“.**

ამ ფონზე კი ეს წიგნი პატრიოტულ სულს შთაბერავს და ღირსების განცდას დაუბრუნებს განათლების ყველა მუშაკს, წინაპართა ღვაწლს სამაგალითოდ გაუხდის ახალგაზრდობას და ათქმევინებს: „რა განძი გვქონია, რა მხნე, რა მდიდარი?“ ე. ი. არავისგან ვართ ხელწამოსაკრავი ერიო.

ოფშკვითის სკოლისა და მის ამაგდართა ღვაწლის დაფასებად ჟღერს წიგნს წამძღვარებული სტრიქონები: **„შენი ზარის წკრიალი ესმის ბარს და მთიანეთს, მართვე საქართველოსთვის ბევრი დააფრთიანე“.**

მოკლე რეცენზიაში ყველაფერს ვერ შევეხებით, მაგრამ იმ დაფრთიანებული მართვეებიდან ზოგიერთი მაინც უნდა მოვიხსენიოთ.

მანამდე კი დამფუძნებლები და ის პედაგოგები ჩამოვთვალოთ, რომლებიც სკოლის სათავეებთან იდგნენ, როგორც იტყვიან პირველ აგურს დებდნენ მის საძირკველზე: მღვდელი **სიმონ ნიჟარაძე, დავით ნიჟარაძე, რაჟდენ სანებლიძე,** სკოლის გამგეები და დირექტორები: **ილია, ჯინჭველაშვილი, კირილე ძოძუაშვილი, თემურ გაბუნია, გიორგი ხაზარაძე, იონა ვაშაყმაძე, ნიკო მარგველაშვილი, შალვა კეპულაძე, ალექსანდრე კეზევაძე, ქეთო ჯაფარიძე, გრიგოლ ბეშკენაძე, სერგო ფხაკაძე, მავრა ბოდოკია, კარლო ასათიანი, ავთანდილ ჭუმბურიძე, ნიკო მიქაბერიძე, ალექსანდრე მაჩალაძე, ნოდარ კაპანაძე** და სხვები.

დღეს კი სკოლას უნარიანად უძღვება ამათი ღირსეული მემკვიდრე, შემოქმედი დირექტორი **ჯემალ კეპულაძე**. თუ სურვილი ექნებათ, ჩვენს გაზეთში ადგილს დავუთმობთ ამჟამად მოღვაწე პედაგოგთა საქმიანობას და მოსწავლეთა ცხოვრებას.

სკოლის დაფრთიანებული მართვეებიდან ყველას ვერ ჩამოვთვლით, თუმცა ორიოდე მათგანი მაინც უნდა დავასახელოთ. აი, პოპულარული საბავშვო პოეტი **ნაირა ნიჟარაძე.** რატომ? ჯერ ერთი, სკოლის დამფუძნებელთა შორის და შემდეგშიც ბევრგან კაშკაშებს **ნიჟარაძეების** გვარი. მეორეც, ამ სტრიქონების ავტორი და ნაირა ქუთაისის პედინსტიტუტის აღზრდილები არიან. მათ ლექციებს უკითხავდნენ საქვეყნოდ სახელგანთქმული მეცნიერ-ლექტორები: **კოსტა მეძველია, ქეთო ძოწენიძე, გიორგი როგავა, პოლიკარპე ჯავჯანიძე, მიშა ალავიძე, გიორგი სამხარაძე, ანგია ბოჭორიშვილი, შალვა ჩხარტიშვილი, არსენ ბიბიჩაძე, თინა ნიჟარაძე, იონა ჯღარკავა, მიშა ზარქუა, აქვსენტი მიშველაძე, ლევან სანიკიძე, დავით ჯანელიძე, ოთარ გიორგაძე, დავით ბრეგაძე** და სხვები.

კიდევ მინდა ვახსენო ამ ინსტიტუტის აღზრდილი, ომგადახდილი პოეტი და პედაგოგი **ლავრენტი ბეშკენაძე.** ამ სიტყვების ავტორთან ერთად თბილისის მე-15 სკოლაში (რომელიც ამჟამად გაუქმებულია) მათემატიკის მასწავლებლად მუშაობდა ლავრენტი ბეშკენაძის ქალიშვილი. მან მომიტანა რამდენიმე ჩინებული ლექსი მამისა (ხელნაწერი), რომელიც 9 მაისის გამარჯვების დღესთან დაკავშირებით სათანადო კომენტარით გამოვაქვეყნე გაზეთ **„სახალხო განათლებაში“.** მალე უფრო სქელი რვეული მომაწოდა, წიგნად გამოცემა უნდოდა. ლექსთა კრებული სტამბაში გასაგზავნად მოვამზადე, მაგრამ იმ შავბნელ ხანაში (ზვიად გამსახურდიას დამხობა, ძმათამკვლელი ომი, ფინანსური სიდუხჭირე) ვერ გამოვეცით. არ ვიცი, შემდეგ რა ბედი ეწია ამ წიგნს.



როცა ვკითხულობ ამ საარეცენზიო წიგნს, თვალწინ მიცოცხლდება „ოქროს ხანად“ წოდებული სტუდენტობა თავისი რომანტიკა – სხივმოსილებით. ოფშკვითის სკოლის გამოშვებულთა და ამჟამად მოღვაწე პედაგოგთა დიდი უმრავლესობა ჩემი მშობლიური ინსტიტუტის აღზრდილია, ბევრი მათგანი „**დამსახურებული მასწავლებლის**“ წოდებას ატარებს. ეს ძალიან კარგი, მაგრამ აქვე ისიც მწყინს, რომ განათლების მუშაკთა მატერიალურ-მორალური სტიმულირების ფორმები: **„დამსახურებული“** და **„სახალხო მასწავლებლის“** წოდებები დიდი ხნის გაუქმებულია. არადა, „ავადსახსენებელი“ კომუნისტების დროს ეს ყველაფერი და კიდევ ბევრი სხვა სასიკეთო ნამდვილად იყო.

ამ წიგნის დიდ მნიშვნელობაზე ზემოთ უკვე ვთქვით. დავუმატებთ: ავტორს იმდენი მეცნიერული კეთილსინდისიერება და რუდუნება ჩაუქსოვია სკოლის მატიანეში, იმდენი შრომა დაუხარჯავს, რომ ერთ კარგ დისერტაციას ყელამდე ეყოფა.

ამისთვის კი (ყველა მკითხველის სახელით) დიდი მადლობა ქალბატონ **ციალა ღვინიანიძეს.**

ყველა პედაგოგს, მოსწავლეს თუ აღზრდილს ვულოცავ მშობლიური სკოლის სახელოვან იუბილეს, ახალ გამარჯვებებს და აღმაფრენას ვუსურვებთ.

ბორის მიშველაძე

179-ე სკოლა ინიციატივებისთვის მზად არის

ძლიერი პედაგოგები და შემოქმედი დირექტორი არიან ამის გარანტი

ახალმა წელმა სიახლეები შემოგვთავაზა განათლების სისტემაში. განათლების მინისტრმა რეფორმის გასატარებლად ათი მიმართულება დააანონსა, რომლის ხორცშესასხმელად მზად არის **თბილისის 179-ე საჯარო სკოლა**. რით არის მზად? რით და, ძლიერი, გამოცდილი პედაგოგები და შემოქმედი დირექტორი გახლავთ წარმატების გარანტი. **ხათუნა ნებიერიძეს,** მხატვრულად თუ ვიტყვით, „რიგითი ჯარისკაცობიდან მიუღწევია გენერლობამდე“. დიახ, იყო რიგითი ჩინებული პედაგოგი, თავდადებული შრომით მიაღწია კარიერულ აღმასვლას. სახელი ჯერ კიდევ თბილისის 130-ე საჯარო სკოლაში დირექტორობისას გაითქვა და აი, უკვე ხუთი წელია ხუთიანზე უძღვება 179-ე საჯარო სკოლას. შრომისმოყვარე მასწავლებლებთან ერთად დირექტორს აქტიურად მხარში უდგანან ადმინისტრაციის წევრები, ბრწყინვალე მასწავლებლები, მოადგილეები: **ნინო ბერიძე** და **სვეტლანა ალოიანი,** სასწავლო პროცესის კოორდინატორი **რუსუდან გორდელაძე.** სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე **ნაირა ჩანქსელიანი,** მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე **მარიამ ჭკუასელი.**

სკოლის ყველა მუშაკმა კარგად იცის, რომ თავიდათავი არის საგაკვეთილო პროცესის მაღალ მეთოდურ დონეზე წარმართვა და მის თანხმლებ სასწავლო-აღმზრდელობით ღონისძიებებში მოსწავლეთა ჩართულობა-აქტივობები. სწორედ ეს მომენტი გამოკვეთილად არის წინ წამოწეული სარეფორმო მიმართულებებში.

ამ პრობლემებზე თეორიულ მსჯელობას სჯობს მოწოდებული ინფორმაციაზე დაყრდნობით წარმოვაჩინოთ სკოლაში მიმდინარე საქმიანობის სურათი.

***

ხათუნა ნებიერიძემ სკოლის უნარიანი მართვით და სწორი მენეჯმენტით შეძლო მოსწავლეთა რაოდენობა 745-დან 1240-მდე გაეზარდა. 2017-2018 სასწავლო წელს სკოლაში გაიხსნა **ექვსი პირველი კლასი.**

მათემატიკურ ტერმინოლოგიას თუ ვიხმართ, საგნობრივი კათედრების მოქნილი მუშაობა პირდაპირპროპორციულია მაღალი შედეგებისა. ამ კუთხით უნარიანად იღვწიან შემდეგი კათედრები: ქართული ენა-ლიტერატურისა - ხელმძღვანელი **ლიანა ღვთისიაშვილი,** მათემატიკისა - **ლალი ძამიაშვილი,** დაწყებითი განათლებისა - **ანა შეყლაშვილი,** უცხოური ენებისა - **მთვარისა წიკლაური,** საბუნებისმეტყველი მეცნიერებისა – **ნანა ხატიური,** ესთეტიკისა და სპორტის - **მეგი გრძელიძე,** საზოგადოებრივ მეცნიერებათა - **ლია აბაშიძე.**

მრავალფეროვანი და საინტერესოა **საწრეო** მუშაობა: **თინათინ კონსტანტინიდი, დოდო ჩუბინიძე, ნათელა ჯავახიშვილი, ლალი ძამიაშვილი, მანანა ჭოჭიაშვილი, ანა შეყლაშვილი, მზია ელიაძე, თამარ ნანდოშვილი, სოფიო ჭარბაძე, მარინე ივანაშვილი, გულნაზი თაბუკაშვილი, ოლღა კვეზერელი, მაკა ჯავახიშვილი, ნაირა ჩანქსელიანი, მთვარისა წიკლაური** ინიციატივიანი მუშაობით ხელს უწყობენ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. აი, პროექტები, რომლებიც წარმატებით განხორციელდა: პედაგოგი **ნანა ხატიურის** პროექტი - **„მომავლის სადარაჯოზე“** მე-6 კლასი. პედაგოგი **ლალი ძამიაშვილი** - პროექტი - **„სიმეტრია ჩვენს ირგვლივ“.** პედაგოგი **ოლღა კვეზერელი** - **„მსოფლიოს ძველი და ახალი საოცრებანი“.**

საოლიმპიადო ნადავლი: ეროვნული სასწავლო ოლიმპიადაში გაიმარჯვა 3 მოსწავლემ: მე- 12 კლასელმა - **ლიკა მდივნიშვილმა** - რუსულში, პედაგოგი **იზოლდა შუხოშვილი,** მე-12 კლასელმა - **მარიამ ქურდიანმა** - ინგლისური და ქართული (**დოდო ჩუბინიძე, ეთერ გონაშვილი**), მე-11 კლასელმა **დიანა ხარებავამ** - ბიოლოგია (**ნანა ხატიური**).

მოსწავლეები ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა კონკურსებში, საიდანაც გამარჯვებულები ბრუნდებიან დიპლომებით, სიგელებით.

კინგსის: მათემატიკურ ოლიმპიადაში 1 ხარისხის დიპლომი დაისაკუთრეს **მარიამ ივანაურმა, გიორგი ჩარგაზიამ, საბა მასლენიკოვმა.**

ევერესტის ფინალის ათეულში გამარჯვებული არიან: **ალექსანდრე უშარიძე, გიორგი ჩარგაზია, დავით ჯოხაძე.**

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მიერ გამოცხადებულ რბილი სათამაშოების კონკურსში მონაწილეობა მიიღეს მე-9 კლასის მოსწავლე **ლიკა მიქაიამ,** მე-7 კლასელებმა **ტატა მიქაიამ, სოფიკო ჭუმბურიძემ,** რომლებმაც მოიპოვეს საპატიო სიგელები.

სოფიკო ჭუმბურიძეს ერგო 1 ხარისხის დიპლომი, პედაგოგი **იზა გაბუნია.**

სპორტში მე-7 კლასელი **ბექა დონღვანი** - ძიუდოში საბერძნეთის პირველობაზე 1 ადგილის მფლობელია, ასევე ჰოლანდიის ღია პირველობაზე მან დაიკავა 1 ადგილი, ხოლო რესპუბლიკის შეჯიბრებებში მიღებული აქვს მედლები და დიპლომები.

სპორტის პედაგოგებს **ლიანა თხინვალელს, მეგი გძელიძეს, ნოდარი ხარებაშვილს** დაწყებით კლასებში ჩატარებული აქვთ მხიარული სტარტები და შიდა სასკოლო შეჯიბრი ფრენბურში და კალათბურში მაღალ დონეზე.

სკოლა მონაწილეობს 2019 წლის საუკეთესოა სასკოლო ოლიმპიადაში (**მინი ფეხბურთი, კალათბურთი, გარბენი**). ყველა მიღწევას ვინ ჩამოთვლის.

ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, **სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი სკოლაში აღმავლობის გზაზეა და სასიხარულო შედეგებიც გარანტირებული იქნება.**

ბორის ხარებავა

მე-9 საჯარო სკოლის სარეფორმო მიზანი

საგაკვეთილო-აღმზრდელობითი პროცესის გააქტიურება უმთავრესია

განათლების სამინისტროს სარეფორმო ინიციატივების ათი მიმართულებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც საგაკვეთილო და **აღმზრდელობითი პროცესის** მკვეთრი **გაუმჯობესებაა.** იგი განსაკუთრებით აამაღლებს ცოდნის ხარისხს და სასურველი შედეგის მომტანია. ეს ათი სარეფორმო მიმართულება კარგად აქვთ გააზრებული და გასიგრძეგანებული თბილისის სახელოვან **მე-9 საჯარო სკოლაში,** რომელსაც აგერ უკვე 5 წელია სათავეში უდგას უნარიანი, შემოქმედი, სიახლეებისაკენ მიზანსწრაფული დირექტორი **მარინე გიგაური.** მოწოდებით პედაგოგი, შესანიშნავი ხელმძღვანელი, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული დირექტორი კარგად არის ცნობილი საგანმანათლებლო სივრცეში. ადრე, აქ მოსვლამდე წარმატებით უძღვებოდა დედაქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ სკოლას, რომელიც, სამწუხაროდ, კარგა ხანია, გააუქმეს.

მთელი თავისი ნიჭი და გამოცდილება ქალბატონმა მარინემ მე-9 საჯარო სკოლაში გადმოიტანა, იგი სწავლების ხარისხის ამაღლებას მოახმარა და ახმარს დღესაც. წარმატებებიც სახეზეა, ვინ მოთვლის, სკოლაში რამდენი დაუვიწყარი ღონისძიება ჩატარდა, რამდენი სიახლე დაინერგა და დღესაც მისი ხელმძღვანელობით ყველა პედაგოგი ამ სარეფორმო ინოვაციების ხორცშესასხმელად არის შემართული. მიზნის მისაღწევად მასწავლებლები შეხმატკბილებულად, ენთუზიაზმით, გუნდური პრინციპით იღწვიან.

სკოლიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოკლედ, კალეიდოსკოპურად გაგაცნობთ, კოლეგებო, აქ მიმდინარე სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას: რა შედეგებს მიაღწიეს და რა მიზნები აქვთ დასახული ახალ გამოწვევებთან დაკავშირებით.

***

ახალი 2018-2019 სასწავლო წლისათვის დაიგეგმა სკოლის ბიბლიოთეკის და საკლასო ოთახის ტიხრის რემონტი.

მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით დირექტორმა ქალბატონმა **მარინე გიგაურმა** მადლობის სიგელებით დააჯილდოვა პედაგოგები: **მარიამ მარჯანიძე** (გერმანული ენა), **ნათია ტრაპი** (ინგლისური ენა), **ნინო ჭავჭავაძე** (სპორტი), **მაია ახალკაცი** (ბიბლიოთეკარი), **თინათინ შიშნიაშვილი** (სამოქალაქო განათლება) და **ნინო იოსავა** (ხელოვნება).

დირექტორის მოადგილე, ქალბატონი **ელეონორა ფერაძე** სისტემატურად ახორციელებს სასკოლო ჟურნალების წარმოების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების სკოლაში დროულად გამოცხადების მონიტორინგს. იგი აქტიურად არის ჩართული და სკოლის დირექტორთან შეთანხმებით ორგანიზებას უწევს სხვადასხვა ღონისძიებებისა და ოლიმპიადების ჩატარებას.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ქალბატონი **ლიზი ხაჩიძე** დიდი მონდომებით მონაწილეობს სკოლის სასწავლო გეგმის, შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის განხილვა-დამტკიცებაში.

საინტერესოდ მუშაობს სკოლის თვითმმართველობა, (თავმჯდომარე **თათია გიორგობიანი**) აქტიურადაა ჩართული სკოლის კონკურსებში, ოლიმპიადებში, ბულინგთან დაკავშირებულ საკითხებში და ა. შ.

სწავლა-აღზრდის საუკეთესო ხარისხის მისაღწევად მაღალია მოსწავლეების აქტივობები

სხვადასხვა ოლიმპიადებში: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა - kings, robinson და ა.შ.

წარმატებით ტარდება საერთაშორისო კვლევები (PISA, TALIS, TIMSS)

მოსწავლეები ჩართულნი არიან შემდეგი სახის პროექტებში: ბაკურ სულაკაურის **„ყველაზე წიგნიერი“,** ვიქტორინა **„რა? სად? როდის?“,** საპატრიარქოს ახალგაზრდული მოძრაობა **„დავითიანი“** პროექტი **„წიგნიერი და პატრიოტი თაობა - 2019“, „ეტალონი“** და ა. შ

საგნობრივ-მეთოდური კათედრების მუშაობა ეფექტიანია და განაპირობებს სწავლა-აღზრდის მაღალ ხარისხს. ქებას იმსახურებს ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის თავმჯდომარის - **მაია ლომიძის;** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლების - **ანა მაისურაძის;** დაწყებითი სწავლების - **თამარ ხელაშვილის;** მათემატიკის - **აიდა თეთრაძის;** საზოგადოებრივი მეცნიერებების - **ნანა გონიტაშვილის;** უცხოური ენების - **ნინო წილოსანის;** სპორტის - **ნინო ჭავჭავაძის;** ესთეტიკის - **ნინო იოსავას** ნაყოფიერი საქმიანობა.

სკოლაში არსებული წრეები დიდად უწყობს ხელს სწავლების ხარისხის ამაღლებას. ნაყოფიერია გახანგრძლივებული დღის ჯგუფის საქმიანობა.

არის მიღწევები ხელოვნებასა და სპორტულ საქმიანობაში. გვყავს გამარჯვებულნი ხატვაში, კარატეში და სხვა.

N17 ოლქის მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის მაჟორიტარის, პარლამენტის წევრის **სოფიო კილაძის** ინიციატივით საკალათბურთო კლუბ **„დელტასა“** და სსიპ - ნოდარ ახალკაცის სახელობის ქალაქ თბილისის მე-9 საჯარო სკოლას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც მიზნად ისახავს სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის უფასო კალათბურთის სწავლებას. მემორანდუმის მთავარი მიზანია სპორტის პოპულარიზაცია და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა.

სკოლას ჰყავს 3 მანდატური, რომლებიც კარგად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

ახალი სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესისა და გარემოს გაუმჯობესების მიზნით იგეგმება სხვადასხვა სარემონტო სამუშაოების ჩატარება.

კიდევ ბევრი სიახლეა ჩაფიქრებული, რომელიც რეფორმის გზაზე წარმატებებს მოუტანს სკოლას და მაღალი შედეგებით გაახარებს ყველას.

მოკლედ, **მარინე გიგაურის** ხელმძღვანელობთ მე-9 საჯარო სკოლა სარეფორმო გზაზე დგას. ყველა პედაგოგი შინაგანად მოწოდებულია გამარჯვების მოსაპოვებლად. ასეთი მუშაობით წარმატებები მოვა და ამას ყველა დაინახავს სასწავლო წლის დასასრულს.

გისურვეთ გამარჯვებას, მე-9 საჯარო სკოლელებო!

ბორის ევგენიძე

საახალწლო ნობათი – ცეროდენებს

„ვადაჭკორიას ლექსებით ჩვენ შვილებს ვეალერსებით!“

ერთ საბავშვო ბაღში მშობლებთან საუბრისას ერთმა ქალბატონმა ზემოთ სათაურად გამოტანილი სტრიქონი პათეტურად წარმოსთქვა. ქვეტექსტი გასაგებია – ესე იგი, **ლეილა ვადაჭკორია** პოპულარული საბავშვო პოეტიაო. რატომ არის პოპულარული? იმიტომ, რომ ქალბატონი ლეილა პედაგოგია, დიდებულად იცნობს ნორჩების ფსიქოლოგიას, ბავშვების თვალებით ხედავს სამყაროს, მათი ინტერესების შესატყვისად ქმნის ხატოვან განწყობილებას. სადა, ადვილად გასაგებია პოეტის ლექსები, გადამდებია აქ აღძრული ემოციები. ქვემოთ გავეცნობით ლექსს **„კეთილი გიგო“**, რომელიც ანტონიმია ყველასთვის ნაცნობი ხალხური **„ზარმაცი გიგოსი“.** ბავშვებს დააფიქრებს ეს ლექსი.

ქალბატონი ლეილა წელს რჩეული საბავშვო ლექსთა კრებულის წიგნად გამოცემას აპირებს. ვუსურვოთ გამარჯვება.

ჰოდა, ასეთ პოეტს გული როგორ მოუთმენდა, რომ ცეროდენებისთვის საახალწლო ნობათი არ მიერთმია. ზოგიერთ ლექსში კი სულ ახლოს მყოფი, დამდეგი გაზაფხულის მაჯისცემა და ჟრიამული ისმის. მოდით, ერთად გავეცნოთ ამ ლექსებს!.

რედაქტორი

ფიქრო, შენ არ დამიბერდე!

ფიქრო, შენ არ დამიბერდე,
ჯერ არ მომრევია რული,
ამოვთქვა, რაც სულს მიბორგავს,
სიხარულით რომ ძგერს გული.
ჩემს პატარა გოგო-ბეჭებს,
მოვეფერო, დავუყვავო,
ვუთხრა, თუმცა დიდი არის
დედამინა, ეს სამყარო,
მაინც ჩვენი საქართველო
გვქონდეს მუდამ სათაყვანოდ.
სულ გვახსოვდეს რანი ვართ და
ვისი ჯიშის, ვისი გენის,
საამაყოდ გვეყოფოდა
მარტო ერთი რუსთაველი.

კეთილი გიგო

რა დროს ძილია გიგილო,
ნახე, რა თოვლი მოსულა,
გინდა ხეები იხილო?
დედოფლებივით მორთულან.
თუმცა ხის კენწეროებზე
ჩიტები არ ჭიკჭიკებენ,
შენს ფანჯარასთან მოფრინდნენ,
აწუხებთ ზამთრის სიცივე.
გიგილომ დედას აკოცა,
დედი, ფანჯარა გავუღოთ,
სანამდე დავაბინავებთ
სიცივემ არ შეაწუხოთ!
ბავშვებმა მალე უპოვეს
ჩიტუნებს თავშესაფარი,
საკენკიც ბლომად დაყარეს
ფეტვი თუ ხორბლის მარცვალი.
გულზე მოეშვათ პატარებს,
ფარხმალი რომ არ დაყარეს,
მერე კი ჟივილ-ხივილით
მთელი გარემო დაფარეს.

და ასე იქცა ეს გიგო
ეზოში მისაბაძ გიგოდ,
სიკეთე გადამდებია,
ეს ყველამ უნდა გაიგოს.

ბაბუა

მიფრთხილდება ბაბუა
სულ სკოლასთან მიცდის,
იცის ჩანთის ტარება
რანაირად მიმძიმს.
წიგნებია ტყვიასავით
ჩაწყობილი დასტად,
ჰოდა, სანამ ატაროს
ბაბუმ ჩემი ჩანთა?

ფისო

რატომ ილოკები,
ფისუნია, ფისო,
უნდა დაიბანო...
ჭუჭყის სუნი გდისო.
ბეწვზე მიგროვდება
ვიტამინი ბევრი,
თუ არ ავილოკე,
ნერვიული ვხდები.
ახლა ხომ გაიგე
კახუნია, კახა,
ჯერ ბინძური ფისო
არავის უნახავს.

ისევ მოვა გაზაფხული

ისევ მოვა გაზაფხული
მხიარული ფერებით,
დაბლა მწვანე ხალიჩით და
მაღლა ცისარტყელებით.

ღმერთო, ისევ შენი ნებით,
ისევ შენი წყალობით,
ცას აიკლებს ტოროლა და
ბულბულ-შაშვი გალობით.

მორაკრაკე ნაკადული
კვლავ გაახელს თვალებს,
მოირთვება მთა და ბარი
წითლად, ყვითლად, მწვანედ,

გაზაფხული შემოაღებს
ზარ-ზეიმით კარებს.

ვინც ასახელა სამშობლო

კობა ალუდაურის მრავალმხრივი მიღწევები

საქართველოს ოქროს წიგნში, რომელიც ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი სპორტსმენების, ხელოვანებისა და სხვა გამოჩენილი ადამიანების შესახებ მოგვითხრობს, ქართველი სამჭიდელების გვარებსაც ნახავთ. სპორტის ეს სახეობა ჩვენს ქვეყანაში თანდათან უფრო პოპულარული ხდება და მის მიმართ ყურადღება და ინტერესიც იზრდება.

კობა ალუდაური ბავშვობიდან ჯანსაღი ცხოვრების წესით იყო დაინტერესებული, სპორტის სხვადასხვა სახეობაში ვარჯიშობდა და გარემოცვაც ასეთი ჰყავდა. ბიძა **ირაკლი არაბული** სპორტის ოსტატი იყო კრივში, სტუდენტობისას, აგრარულ უნივერსიტეტში სწავლის დროს, კათედრის გამგე **რობერტ შავლაყაძე** ოლიმპიური ჩემპიონი იყო სიმაღლეზე ხტომაში და ეს ყველაფერი, ვარჯიშის დროს, დიდ სტიმულს აძლევდა. წარმატებაც თანდათან მოდიოდა – მოგებული შეჯიბრებები და 19 წლის ასაკში, 1991 წელს საქართველოს ნაკრების წევრი გახდა; 1992 წლიდან კი საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, თასების მფლობელი და რეკორდსმენია.

90-იან წლებში, მაშინდელი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ძალიან რთული სავარჯიშო პირობები იყო, უტრანსპორტობის გამო, ფეხით დადიოდა სავარჯიშოდ. იმ პერიოდში, ბევრი წავიდა საქართველოდან, სხვა ქვეყანას შეაფარა თავი და იმ ქვეყნის დროშის ქვეშ გამოდიოდნენ შეჯიბრებებზე. წასვლის შესაძლებლობა კობასაც ჰქონდა, მაგრამ დარჩენა ამჯობინა. იმ დროისთვის წარმატებული სტუდენტი იყო, ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტზე სწავლობდა, აქვს მაგისტრის ხარისხი. 1996-2001 წლებში პოლიციის აკადემიის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლობდა და 1995 წლიდან შსს-ს გენერალ გია გულუას სახელობის სპეც. დანიშნულების რაზმში მუშაობდა. ეს სამმართველო 2004 წლიდან თავდაცვის სამინისტროს შეუერთდა და 2016 წლის ბოლომდე იქ მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების

ვიცეპოლკოვნიკი, მოსამზადებელი ცენტრის სკოლის მეთაური, დაზვერვის, დაგეგმარების უფროსი, შტაბის უფროსი და სხვა. მთელი ამ დროის განმავლობაში, აქტიურ სპორტულ მოღვაწეობას ეწეოდა, დღეში 2-3 საათი ვარჯიშობდა, საქართველოს ჩემპიონატებზე გამოდიოდა, 2-ჯერ ევროპის ჩემპიონატი მოიგო; 2012 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჩემპიონი გახდა პისტოლეტის სროლაში; არის ავტომატისა და პისტოლეტის სროლის ექსპერტი.

როდესაც სამსახურიდან პენსიაზე გასვლა მოუწია, გადაწყვიტა, სპორტული კარიერა აშშ-ში გაეგრძელებინა, სადაც სპორტის ეს სახეობა ძალიან პოპულარული და დაფასებულია, სავარჯიშოდაც უკეთესი პირობებია და პერსპექტივაც მეტია.

ძალისმიერი სამჭიდი ძლიერი ხასიათის მქონე ადამიანების სპორტია, სადაც მაქსიმალური ძალა, ტექნიკა, სისწრაფე, მოქნილობა, გამძლეობა და ბევრი სხვა თვისებაც სჭირდებათ, რათა მოძრაობები გარკვეული თანმიმდევრობით შეასრულონ. სპორტსმენებს ზოგჯერ სამივე დაძლეული მოძრაობით აფასებენ, ზოგჯერ კი, სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებზე, ცალკეული, ერთი ან ორი მოძრაობით. **კობა ალუდაური** 100კგ წონით კატეგორიაში, ძირითადად 3 მოძრაობაში – ჩაჯდომა, წოლჭიმი, ამოწევა – გამოდის ხოლმე. საქართველოში არაერთი შეჯიბრება და ტურნირი მოუგია. იყო საქართველოს ჩემპიონი, ასევე, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი.

ამერიკაში წასულ ქართველ სპორტსმენებს ვარჯიშისთვის საუკეთესო პირობები აქვთ, სწორი კვება, ნორმალური ანაზღაურება, მეგობრული და კეთილგანწყობილი გარემო და **კობა ალუდაური** სპორტული კარიერის გასაგრძელებლად აშშ-ში გაემგზავრა. წარმატება არც იქ მოკლებია. იგი 2004 წელს **ნიუ ჯერსის** შტატში გამართული ჩემპიონატის რეკორდსმენია; 2017 წელს **ფლორიდის** შტატში კი მსოფლიო ჩემპიონი გახდა და ჩაჯდომში მსოფლიო რეკორდი დაამყარა; წარმატებული იყო 2018 წელიც, ჩაჯდომში, ამოწევაში მსოფლიო ჩემპიონობა და მსოფლიო რეკორდის დამყარება.



სპორტულ კარიერასთან ერთად, არც მწვრთნელობაზე უთქვამს უარი და რამდენიმე ჩემპიონი და მსოფლიო პრიზიორი გამოზარდა, მათ შორის არიან **ჯაბა ღობნელიშვილი** და **რუბენ ქარქუზაშვილი.**

ოჯახი, თბილისში ჰყავს, ტყუპი ქალ-ვაჟი, სტუდენტები, რომლებიც მამასავით სპორტის მოყვარულები არიან და წარმატებების მწვერვალს ნელ-ნელა უახლოვდებიან – ბიჭი არაერთი ტურნირის გამარჯვებულია ძიუდოში, გოგონა კი ჩოგბურთითაა გატაცებული.

ჩვენი ქვეყნის სპორტის ამ სახეობის ფედერაცია ხელს უწყობს წინსვლას, შემუშავებულია განვითარების გეგმა, შესაბამისად დაინტერესებამ და სპორტსმენთა რიცხვმაც საგრძნობლად იმატა. ჩვენი სპორტსმენები, ათეულობით ჩემპიონი, საქართველოს ნაკრების წევრები არიან, წარმატებულები, არამხოლოდ აქ, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთაც და მათი მიზანი პრესტიჟულ ტურნირებზე, ჩვენი ქვეყნის ღირსეულად წარმოჩენა და მსოფლიო დონის მიღწევებია. **კობა ალუდაური** ამ წარმატებული ქართველი სპორტსმენების ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომლის მიღწევებიც, იმედი გვაქვს, არაერთხელ გაგვაოცებს.

ნათია გუგუნავა

ლიტერატურული გვერდი

ნიჭი, ძამიკო, ნიჭი, ანუ ეს – ერთი და სხვა – მრავალი!

არ გადავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენაო, გვმოძღვრავს რუსთველი. ჭეშმარიტად ასეა – როცა იქნება, სანთელ-საკმეველი აუცილებლად იპოვის გზას, ნიჭი აუცილებლად გამოვლინდება.

თბილის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დიდუბის ფილიალის დირექტორმა ბატონმა **ვაჟა ჭიპაშვილმა** ცხოვრების საინტერესო გზა განვლო: დედაუნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლობდა; მუშაობდა ტელევიზიაში რეჟისორის თანაშემწედ, ასისტენტად, ფილმოთეკის გამგედ, ცენტრალურ სახელმწიფო არქივში – უფროს მეცნიერ მუშაკად, უძღვებოდა განყოფილებას; იყო საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის დირექტორი. 1982 წლიდან დაინიშნა ამიერკავკასიის რკინიგზის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორად, რომლის სამართალმემკვიდრეც დიდუბის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი გახლავთ. პედაგოგსა და აღმზრდელს თითქმის სულ შემოქმედებით გარემოში უწევდა მუშაობა, მაგრამ უპირველესი მაინც ნიჭია; ნიჭი, ძამიკო, ნიჭიო, გალაქტიონმა ბრძანა.

რედაქციამ შეიტყო, რომ ეს მრავალმხრივი პიროვნება ლექსებსაც წერს. როგორც იტყვიან, ჩვენი ძალებით მოვიძიეთ ბატონი ვაჟას რამდენიმე ლექსი და სიურპრიზად ვბეჭდავთ კიდეც. წაიკითხეთ ეს ლექსები. მერწმუნეთ, მათში პოეზიაა – კაცური სევდა და მონატრება, ნატვრა და სინანული – ღრმა განცდით, ხატოვნად, სწორედ პოეზიის საკადრისადაა გადმოცემული. იმედია, არ გვიწყენს ბატონი ვაჟა მის დაუკითხავად რომ ვბეჭდავთ ლექსებს. ჩვენს რედაქციას კარგა ხნის შემოქმედებითი ურთიერთობა აქვს დიდუბის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან, რაც, უპირველესად, ბატონი ვაჟას დამსახურებაა და გვინდა ამ მხრივაც წარმოჩინდეს ღვაწლმოსილი პიროვნების ნიჭი. წარმოსაჩენი კი, გაგიხარიათ, სწორედ რომ არის.

ვულოცავთ ბატონ ვაჟას უნებლიე დებიუტს! იმედია, შემდგომ თავად მოგვაწვდის პოეტური აღმაფრენის ნიმუშებს.

რედაქცია

ფოთოლცვენა

შემომადნება დღე მარტოობის,
შემომადგება ღამე წუხილის,
კვლავ მიწყრებიან ჩიტბატონები,
კვლავ ვერ დამათრო ღვინომ წუხილის.

ბინდი მოჰყვება სევდას უმართავს,
მოცურავს მწუხრი გულშეღონების,
ჩამოსხდებიან ჩემს სასთუმალთან
ფიქრთა დაღლილი ლეგიონები.

ვერ მივაწვდინე ჩემი ძახილი
ღმერთგალაკტიონს, პაოლოს, ტიციანს
და ხმაჩახლეჩილს გამთანგავს ძილი,
ძილი – სიკვდილის რეპეტიცია.

ნელა ჩაქრები, ჩემო ბუხარო,
ვეღარ გაუძლებ თქეშსა და წყვდიადს,
მერე მეც წავალ ისე უკვალოდ,
როგორც როყიოდ ნასროლი ტყვია.

ქიშის ფინიში

როცა ჟამთასვლის თეთრი ზამთარი
სულში გაავლებს უძლურ ზიგზაგებს,
ვინღა აანთოს ცეცხლი ჩამქრალი,
ან ძველს ვნებას ვინ ააგიზგიზებს.

გამოგვიცხადა ცხოვრებამ ქიში,
თასი სავსეა თურმე პირამდე.
რა ახლოს არის თურმე ფინიში,
და რა შორია შენს ნაპირამდე!

ან – ჰო, ან – არა! არყოფნის დღემდე,
ცხოვრების კიბე უკვე მიცოცავს,
ნეტავ ვიცოდე, სიკვდილის შემდეგ,
კიდევ რამდენ ხანს უნდა ვიცოცხლო.

ცისფერი თმები, ანუ ტიან-შანი

მარადისობაც ერთი წამია,
მარადისობას უნდა ხედავდე,
და მითხრას ვინმემ, რა მანძილია
წიწამურიდან – უკვდავებამდე.

ჩამოიქროლებს თეთრი ზმანება
აცახცახება ნიამორების,
ცისფერთმიანსა და ცისფერთვალას
მე შენს ჩუმ აჩრდილს ვეამბორები.

გამინაპირებს კვლავაც ოცნება,
და ბედს ისევ არ დავემდურები,
რადგანაც ჩემს სულს ისევ აჩნია
შენი პატარა ნაფეხურები.

შენა ხარ ჩემი უსიტყვო გმინვა,
ჩემი მოლბერტი თეთრი და შავი,
შენა ხარ ჩემი სითბოც და ყინვაც –
ჩემი გოლფსტრიმი და ტიან-შანი.

იუმორესკა

შენი მოყვანილი გაზაფხული,
შენი მოქარგული ფარჩა,
შენი ნამღერი სიმღერები
წავიდა, გაცვდა, გაქრა.

შენი ნაჩუქარი ყვავილები,
შენი დამცხვარი ნაზუქები,
უნდა უკანვე გაგატანო,
თორემ ძალიან გავსუქდები.

ამდენი თვალების ჟუჟუნი,
ამდენი შაირ-ლექსი,
ამდენი კაფია-ნართაული
ამომივიდა ყელში.

მაინც მოვალო, მექადნები,
ნეტაი მართლა არ ახდეს,
მოხვალ? მე შინ არ დაგხვდები,
გაღმა მივდივარ არაყზე.

ზმანება

ათიათასი ფერთა ნავარდი
და სიმბიოზი ცეცხლისა და წყლის,
შენი სურნელი – ლექსის და ღვინის
და შორეული ხატება მკრთალი,
იდუმალი და ამოუხსნელი,
როგორც პორტრეტი უცნობი ქალის.

გალობა სინანულისა

სადღაც სიცოცხლის ხურავენ ფარდებს
და სინანულის ფარდაგებს შლიან:
„რად დავიბადე მე ასე ადრე,
ან რატომ მოხველ შენ ასე გვიან“.

სულო, უმატე ფორიაქს,
სისხლო, ძარღვებში გახელდი,
და გულო, ისე ნუ გამწირავ,
გულო, ერთხელაც აღელდი.

ელეგია-რექვიემი

სოფელი ჭოპორტი (შინდიანი ველები)

გაბუტულან და დამალულან ჩიტბატონები,
მოწყენილობით აბურძგნულან ქრიზანთემები,
ველებს შინდიანს დაჰფენია თალხი ფენები
და შმაგად რეკენ სიმწუხარის ობერტონები.

წვიმა ფანჯრებზე დინჯად მარცვლავს ცივ პიჩიკატოს,
ქარი ბარბაცით აცოდვილებს უცხო რექვიემს,
სული ეული დარჩენილა სიკვდილთან მარტო,
საფლავს საკუთარს თავად აყრის ლილისფერ იებს.

უკიდეგანო სიმარტოვე – ჭოტების გლოვა,
დამჭკნარი ვარდი, სინანულით დახრილი ტოტი,
დღე გარდაცვლილი ვერ ელევა ნუშების თოვას,
დღე გარდაცვლილი ჩამჩურჩულებს შენეულ მოტივს.

ლტოლვა ფარული – დაბრუნების და გადარჩენის,
თეთრად ცახცახებს, ვით ზამთრის პირს მორცხვი მიმოზა,
ქარი კი კვლავაც ბეჯითად და ხმაურით გალობს
თავის ენაზე „აგნიუს დეის“ და „ლაკრიმოზას“.

არყოფნის ზღვაში დაფარფატებს აფრის საკინძე,
უფალო, იქნებ... იქნებ, კვლავაც ცანი განიხვნენ,
მიხმობს, მეძახის და... მაშინებს შოსე ახალი –
გზა არსაითკენ.

იმერული ესკიზი

ხარაგაული, სოფელი ბაზალეთი

ვიწრო შარაგზა, გზის ნაპირას – „ტასიას წყარო“,
ტყემალთან – ცერად გადახრილი ფიცრის საღორე,
რიკულზე ჩალით დაკიდული სიმინდის ტარო,
სოფლის შუკა და შერაგული თეთრი ქვის ყორე.

„ამას ვის ვხედავ“, – იმერულად, – „რაფრა გელოდი“...
სახელდახელოდ გამომცხვარი ხაჭაპურები,
დაბალი ტაბლა – გატანილი კაკლის ჩეროში,
აყალო მიწით თავწაკრული ღვინის ჭურები.

მცირე პატიჟი – „აჰა, რავა“ – და საუბარი,
სუფრაზე უკვე ყელყელაობს სველი თუნგულა,
შემოსწრებულა გზად ჩავლილი ერთი სტუმარიც
და სუფრაც უკვე სანახევროდ ლხინში შესულა.

ფიქრი თანდათან მიმძიმდება და აღარ მესმის
შურა ბიცოლას მოყოლილი ძველი ამბავი,
ვთვრები და მახსოვს, რომ იქვეა, რაღაც ას მეტრში
სამიოდე წლის უნახავი მამის საფლავი.

შოთა ხოდაშნელი საქართველოს უყვარს და ემახსოვრება

„მელექსეთა კარგთა სწორი“

სახელი გენიოსი პოეტისა დაარქვეს, ხოლო გვარი, მშობლიური სოფლის უსაზღვრო სიყვარულით, თავად აირჩია.

შოთა ხოდაშნელი! ხოდა, ეს შენი გაზრდილი და დავაჟკაცებული შვილი, კაი გვარიანი და სანაქებო ქართველი რომ დადგა, გიხაროდეს და გეამაყებოდეს, ხოდაშენო! შენ აგაშენოს და დაგამშვენოს უფალმა, ასეთი გონიერი და ჭკვიანი ბავშვის დაბადებისთვის.

მე რომ ჩემი სოფლის მოგვარეობა მომენდომებინა, არაშენდელი ვიქნებოდი; ცხოვრებაში ეს ასეა, თუმცა, ეს არაშენდელობა, მაშინ, არც შოთას მეგობარს – ჩვენს **ზაზა ბაწელაშვილს** მოსწონდა.

ერთხელ მან თანასოფლელებს მიმართა: – თქვენ ახლა აშენებულები ხართ, ხალხო, მე კი ისევ არაშენდელად დავრჩიო.

ჰაი, გიდი ხარ, დროებავ! **შოთა ხოდაშნელი, ზაზა ბაწელაშვილი** და **სოკრატ სალუქვაძე** – უკვდავი „ვეფხიტყაოსნის“ ეს ზეპირადმცოდნეები, იყალთოში, შოთაობაზე რომ შაირობდნენ.

ნეტავი იმ დროს!

„ყველა გონიერი ადამიანი ხომ იგივ წიგნია“.

დიახ, ამ წიგნკაცმა, „მელექსეთა კარგთა სწორმა“ ეს უკვდავი პოემა სხვებსაც შეაყვარა და შეასწავლა, შეადგინა და გამოსცა „ვეფხისტაოსანის“ ლოტო და ფლირტი, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობის გონების საზრდო და სავარჯიშოა, ამასთანავე სულის დამატკბობელიც გახლავთ.

შოთა ხოდაშნელმა სამზეოზე გამოიტანა ქართველი ერის სიმდიდრე, მისი ღირსება და გენიალური ნიჭი „ვეფხისტყაოსნისა“, არა მარტო მისი ზერელე სწავლებითა და საზეპირო თავების ცოდნით, არამედ მთელი სულითა და გულით, ძირფესვიანი შესწავლითა და გაგებით. კლუბმა **„გონებანი გონიერის“** მომავალი თაობა აზიარა კაცობრიობის მუდმივ სადიდებელ ჰუმანურ იდეებს:ადამიანის სიცოცხლესა და სახელის უკვდავებას, სილამაზეს, ხალხთა შორის მეგობრობას, პატრიოტიზმს, ერთგულება-ძმადნაფიცობას, სპეტაკ სიყვარულს, სიბრძნესა და სიმართლეს, ღვთიური ძალის სიდიადეს.

შოთა ხოდაშნელმა ფენომენალური ნიჭითა და თავდადებული მოღვაწეობით შეძლო „ვერ დანადევი ფასის“ ძღვენი, საჩუქარ-საჩუქარი. ქალების მზითვი წიგნი შთაგონების წყაროდ, ფანტაზიისა და შემოქმედების საგნად ექცია.

ჩემი იდეებითა და პროექტებით მეც მხარი ავუბი. ახალი ათასწლეულის პირველივე წელს, რუსთაველის საიუბილეოდ, თბილისი უნდა გამოცხადებულიყო წიგნის ქალაქად, გაიხსნებოდა **წიგნის (მწიგნობართა) სახლი** თავისი რუსთაველის ჰუმანური და საგამოფენო დარბაზებითა და ლიტერატურული სალონით.

ჩვენი ჩანაფიქრი დღემდე აუხდენელ ოცნებად დარჩა, ამაზე ჯავრი და სადარდელი თან წაიყოლა შოთა ხოდაშნელმა.

აი, შედეგიც... ტექნიკურმა პროგრესმა წიგნი, თითქმის, მთლიანად გამოდევნა ყოველდღიური ცხოვრებიდან. **„შემობრუნება წიგნისაკენ“** – ეს მოწოდება, ლამისაა, თანამედროვე კაცობრიობის ლოზუნგად იქცეს.

ამიტომაც, დღეს, **გლობალიზაციისა და „აგრესიული“ ელექტრონული ინფორმაციის** ეპოქაში, უცხო ენებისა და კომპიუტერული ტექნიკის ათვისების დევიზის პარალელურად, ჩვენ კიდევ ერთი დევიზი გვჭირდება: **„წინ, შოთასაკენ! წინ ილიასაკენ! წინ, ქართული წიგნისაკენ! და წიგნისაკენ!“** საერთოდ!

შოთა ხოდაშნელი საყვარელი საბავშვო პოეტია. მისი კრებული **„უკვდავია ჩვენი სიტყვა“** ქართული ლოგოპედების სახელმძღვანელოა.

იგი ავტორია **52 საბავშვო, ლირიკული ლექსებისა, იუმორისტული და ნარკვევების კრებულისა.**

ტატო ბარათაშვილის უიღბლობით შეძრწუნებულმა, სიამაყით შეთხზა ლექსების ციკლი **„საქართველოში დაგვიბრუნდა როგორც გენია“**.

და მეც, შოთა ხოდაშნელის საოცარი ნიჭისა და უნარის დამფასებელმა, 2007 წლის გაზაფხულზე, წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ახმეტის რაიონის სოფელ **აწყურის სკოლას** დავუბრუნე თავისი აღზრდილი, როგორც პოეტი და ფოლკლორისტი, „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირადმცოდნეთა კლუბის პრეზიდენტი, გინესის წიგნში შესული მწერალი, იყალთოს, წინანდლისა და ჩარგლის საპატიო მოქალაქე.

და მე გავიგონე შოთას სულის ამოძახილი: – „აწ, მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება, თქვენს შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენი ვარ შვილი, გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართველად გაზრდილი“.

მეც საპატიო სტუმრობა მოვირგე და შევიფერე, როგორც **განათლების სამინისტროს მეთოდისტმა,** აწყურის **„სკოლის მატიანეს“** პროექტის ავტორმა, ამ შეხვედრის თაოსანმა და აქაურებს სიამაყით შევძახე: – **ახლა შენ მომაპყარ აწ ყური, აწყურო.**

აწ მოიწონე თავი და დაიტკბე ყურნი იმის სმენითა და გაგონებითა, რომ შენი სკოლის დაფრთიანებული, „ენადაუშრობელი“ წიგნიკაცი მოვიდა, სანთლად რომ ენთო ამ ცოდნის ტაძარში; აქ დაიმეგობრა და შეიყვარა წიგნი, აქ გაიგო მისი ფასი და ყადრი, აქ ჩამოიმარცვლა მისი წრფელი და ალალი ბუნება ანი-დან ჰოე-მდე.

აბა, გამოიცანით, რა საჩუქარი ჩამოგიტანათ საყვარელმა მწერალმა?

400 წიგნი, მათ შორის პოეზიის თონიდან ახლად ამოყრილი, შოთი პურებივით სურნელოვანი, ყუიანი და მუსიკალური წიგნები. მისი ლექსები ხომ, დიდიხანია, რაც სიმღერებად იქცა.

მაშ, წაიკითხე და გააჟღერე კიდეც შოთას ლექსთა ჰანგები ახმეტავ, აწყურო და ხოდაშენო!

ეს დღე თქვენი მონატრება – სიყვარულისა, პოეტური აღტყინებისა, „წარსულ ნერგზე ახალ ნამყნის შეხორცებისა“ იყოს.

ორჯერ პოეტია შოთა ხოდაშნელი, მე კი დავამატებდი, **„ვეფხისტყაოსნის“ ზეპირადმცოდნე – სამჯერ პოეტია.**

გასაოცარი მეხსიერების ყიფლიბანდი დააყოლა გამჩენმა, რომ თავში მთელი საქართველოს წიგნსაუნჯე დაიტია. მან **50-ზე** მეტი **პოემა** და უამრავი **ლექსი** ისწავლა.

„ენადაუშრობელ“ შოთა ხოდაშნელს სიბრძნის ამ დარგში ბადალი არა ჰყავდა.

ასი ათასს აჯობა, რადგან გამორჩევით მთქმელი იყო...

კოკასა შიგან რაც იდგა, იგივე გადმოსდინდა...

ყოვლისა მოსახვეჭელი სახელიც მოიხვეჭა...

შოთას სიბრძნეს ნაზიარებმა შოთა ხოდაშნელმა ასე გაინაღდა უკვდავება...

იგი ბოლომდე „ჩამოქაფული ჩანჩქერის ჟრჟოლა ატანილად“ და „ოქროსცვარგადანაყარ ბაღის“ მოდარაჯედ დარჩა.

მედეა მოსულიშვილი,

ჟურნალისტი, განათლების სამინისტროს ესთეთიკური აღზრდის ცენტრის (ყოფილი) მეთოდიტი.

„არდავიწყება მოყვრისა...“

რუსთაველის სიყვარულში ვერავინ შეეცილებოდა

შოთა ხოდაშნელი ჩემი სოფლის ზემო ხოდაშენის სასახელო და საამაყო შვილი იყო, მამაჩემის მეგობარი, როდესაც სადმე, რაიმე ღონისძიებაზე ვნახავდი, ყოველთვის ვახსენებდი ვინ ვიყავი, გადამეხვეოდა და სულ ხუმრობ-ხუმრობით მომაყოლინებდა სოფლის ამბებს, იქვე გამლექსავდა და მამაჩემის ნიჭიერებასაც შემახსენებდა ,რომ თავმდაბლობის გამო მისი პოეზია ფართო საზოგადოებამ არ იცოდა... მართლაც მამაჩემი ასეთი მორიდებული იყო, თუმცა მთელ ხოდაშენს ჰქონდა გადაწერილი მამას ლექსები და მისმა რამოდენიმე მეგობარმა ზეპირადაც იცოდა. **შოთა ხოდაშნელის ძმა, გივი კონსტანტინიდიც** საუკეთესო ლექსებს წერს, მაგრამ მასაც მამაჩემივით არ უყვარს თავისი პოეზიის გამომზეურება...

ხშირად აღუნიშნავს შოთა ხოდაშნელს, რომ სწორედ სოფლის ფესვებიდან მოდიოდა ასეთი ხალასი და თვითმყოფადი ნიჭიერება, რომელსაც მიწისა და ვაზის სურნელი დაჰკრავდა, სწორედ ეს ფესვები იყო საზრდო ამ ადამიანების სულიერებისა... ამიტომაც ფსევდონიმით მიანიშნებდა, რომ შოთა,ეს დიდი პოეტი და შემოქმედი სოფელ ზემო ხოდაშნიდან იყო.

ყველას გვახსოვს, სკოლაში როდესაც „ვეფხისტყაოსანის“ სწავლას დავიწყებდით, პედაგოგები სიამაყით გვეტყოდნენ, რომ ჩვენი სოფლის მკვიდრმა შოთა ხოდაშნელმა ზეპირად იცოდა ეს უკვდავი პოემა, სწორედ ჩვენი სკოლის, **აწყურის** საშუალო სკოლის მოსწავლეებს უნდა გვცოდნოდა უფრო მეტი სტროფი ზეპირად და ასეც ხდებოდა.

უდიდეს ფენომენთან გვქონდა საქმე, ბატონი შოთას სახით „ვეფხისტყაოსანის“ზეპირად ცოდნასთან ერთად საბავშვო პოეტიც გახლდათ, ბავშვების საყვარელი შოთა პაპა.

გენიალურ ადამიანებს ერთი მეტად გამორჩეული თვისება აქვთ, ისინი არასოდეს იტყობენ და არავის ახვევენ თავს საკუთარ ტკივილებს, ერთი შეხედვით უფრო მხიარულები და ლაღები ჩანან... შოთა ხოდაშნელს მთელი ცხოვრება გულით დაჰქონდა უდიდესი ტკივილი შვილის ავადმყოფობის გამო, ბევრჯერ თვალში ცრემლჩამდგარი მოფერებია ბავშვებს თავისი სხარტული პოეზიით და, ალბათ, ამ ტკივილმა უბიძგა საბავშო პოეზია შეექმნა.

არ ვიცი, რითი შეიძლება გამოხატოს ადამიანმა, იმ ფენომენალურად ნიჭიერი პოეტისადმი სიყვარული, პატივისცემა, მადლიერება, რომელსაც ყველგან თან დაჰქონდა თავისი პატარა სოფლის სახელი,ყველა წიგნსა თუ პუბლიკაციაზე... და ასე შეერწყვა მარადისობას.

შოთა ხოდაშნელის გარდაცვალებამ, ისევ გამიახლა უმამობის ტკივილი, ისევ გამახსენა მათი მუსაიფი, შელექსება,ხუმრობანარევი მოკითხვა „ოღლო-ჭოჭოსი“, „ქვაბ-ქოჩახის“ , „სარჩო-საბადებელის,“ „პურ-ბეღელის“, „ქვევრ-მარანის“...და მე, როგორც ამ სოფლის შვილმა მამაჩემისა და მისი ბავშვობის მეგობრის შოთა ხოდაშნელის ხსოვნას, ასე მინდა ვუპასუხო

ჩემი მარანი

(ეს ლექსი მივუძღვენი მამაჩემისა და შოთა ხოდაშნელის ხსოვნას).

შევაჭრიალე მარნის კარი, პატრონნაქები,
აქ ყველაფერი იყო წმინდა ალალ-გლეხურად
და უფროსს, უმცროსს ქვევრებს თავზე მძიმე სარქვლები,
როგორც ქუდები ნამუსისა ისე ეხურათ.
აქ პაპაჩემის ტრიალებდა სპეტაკი სული
და მამაჩემის ლექსის ბწკარი ისევ ღვიოდა,
მხოლოდ საწნახელს ჩამოეშვა უმწეოდ ტუჩი
და დანესტილი ღაწვებიდან ცრემლი სდიოდა.
ენატრებოდა ტკბილ ბადაგით დასვრილი ტანი
და ყურძნის ჭყლეტით გახელებულ ვაჟკაცთა ლხენა,
ცარიელ ქვევრში ჩამღერებულ ბადაგის ბანი
და ამოვსებულ ყანყრატოდან პირველის მღერა,
სავსე გოდრები ჩაკუმსული მწიფე ყურძენით
და გამდიდრებულ პაპაჩემის საამო მღერა,
სახლის დედაბოძს ჩასობილი მსხვილი ლურსმნები
და ზედ ტყუპ-ტყუპად აჯაგნული ყურძნების წყება
კასრებზე მწკრივად ჩამომდგარი თიხის დოქები ,
შიგ ჩაკიდული ძაბრი, როგორც გამშრალი ცური,
უდედო ღვინის მოლოდინში თეთრი ბოცები
და ნივრის წნილით აქოთებულ ქილების სუნი.
საყრდენ კედელზე მიყრდნობილი რძის სადღვებელი
და აქეთ-იქით დაჭყეტილი საცრის თვალები,
ზედაშეს ქვევრი ქალებისგან ხელუხლებელი
და თეთრ ნაწნავად ჩამოშლილი ნივრის გალები...
თვალწინ დამიდგა სუფრის ტკბილი ჩამომთავრებით,
ურმის კოფოზე შემომჯდარი დაღლილი ღამე,
სავსე ქვევრები წარა- მარა ამომთქნარებით
და საწნახელის ვალმოხდილი მთვლემარე სახე.
ახლა კი ბეღელს დასტყობია უკაცო ხელი,
აქ არც კერია ძველებურად აღარა ლხინობს,
საწნახელს, ბეღელს, დასდებია ნაღველის ფერი
და ზედაშეშიც მხოლოდ დოქით ჩაუდგამთ ღვინო....
მოვაჭრიალე პირუჩუმლად კარები მძიმე ,
ცრემლიან თვალზე რწმენის სხივი მაინც კიაფობს,
ფუძის სიყვარულს მოაკითხავს ოდესმე ვინმე,
რომ საწნახელი ძველებურად აახმიანოს.

ლეილა ლეგაშვილი,

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის -გუბერნატორის ადმინისტრაციის მთავარი სპეციალისტი კულტურასა და სოციალურ საკითხებში. მწერალთა კავშირის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი

P. S. გაზეთ **„სახალხო განათლება+“**-ის რედაქცია სამძიმარს უცხადებს ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს გამოჩენილი მწერლის **შოთა ხოდაშნელის** გარდაცვალების გამო და პატივს მიაგებს მის ხსოვნას.

მსოფლიოში ქართველის სრულყოფის ამაღლებულს

ქართველი სპორტსმენის წარმატება ამერიკაში

„ეს ის სფეროა, სადაც თავს ბედნიერად ვგრძნობ, სიცოცხლის ის წყაროა, რომელიც ჩემი ცხოვრება და ჩემი მეორე უჯახია“, — ასე იწყებს საუბარს თავის სპორტულ კარიერაზე წარმატებული ქართველი სპორტსმენი **თეიმურაზ ლუტიძე.** თუმცა, საქართველოში თავისი ქვეყნის სადარაჯოზეც ერთგულად იდგა და საუკეთესო ჯარისკაცადაც არაერთხელ დაუსახელებიათ, წლების მანძილზე აქტიურად იყო დაკავებული სხვადასხვა სფეროში, სპორტსა და ჯანსაღი ცხოვრების წესს კი ბავშვობიდან მისდევდა – კლუბ **„შევარდენში“** ვარჯიშობდა, რამდენიმე წელი **ძიუდოზეც** დადიოდა. 20 წლიდან, ჯარში ყოფნის დროს, გამოსცადა თავი ძალისმიერ სამჭიდში, რომელიც ათლეტიზმის ძალოსნური სახეობაა. ეს სპორტი ათლეტისგან ფიზიკურ სიძლიერეს მოითხოვს, რადგან მძიმე შტანგის აწევა და სხვადასხვა მოძრაობის შესრულება საკმაოდ რთულია. ვარჯიშის დაწყებიდან 1 წლის თავზე, სპორტსმენმა პირველ წარმატებასაც მიაღწია – საქართველოს ჩემპიონატზე მე-3 ადგილი დაიკავა. შემდგომ ერთ წელიწადში საქართველოს ჩემპიონი გახდა წოლჭიმში, **შოთა ბეჟაშვილის** სახელობის ტურნირი მოიგო და ზედიზედ რამდენიმე წელი საქართველოს ჩემპიონობას არავის უთმობდა.

იყო სხვადასხვა შეჯიბრებისა და ტურნირის გამარჯვებული.

2009 წელს **ნიუ-ჯერსიში** ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც მონაწილეობდნენ **აშშ**-ს სხვადასხვა შტატის, **ბრაზილიის, კანადის, უკრაინის, რუსეთის, გვატემალისა** და სხვა ქვეყნების სპორტსმენები და იყო უდიდესი კონკურენცია, ქართველმა ძალოსანმა უდიდეს წარმატებას მიაღწია და მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც კვლავ აშშ-ში ჩატარდა, **თეიმურაზ ლუტიძე** თავდაცვის სამინისტროს სახელით გამოდიოდა და კვლავ მსოფლიო ჩემპიონი გახდა. შემდგომ იყო კვლავ მოგებული ევროპის ჩემპიონატი ფინეთში. იმავე წელს, ატლანტიკ სიტიში კიდევ ერთი ჩემპიონატი ჩატარდა, სადაც ქართველი სპორტსმენი ტრავმირებული, მტკივნეული კუნთით გამოდიოდა, თუმცა სასურველი წონა მაინც ასწია და მსოფლიო ჩემპიონი მეორედ გახდა.

წარმატებით იასპარეზა და კვლავ გამარჯვება მოიპოვა **თეიმურაზ ლუტიძემ** 2013 წელს საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში, სადაც სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ – უკრაინა, აზერბაიჯანი და სხვა.

ძალისმიერ სამჭიდში, რომელიც 21-ე საუკუნის დასაწყისისთვის კლასიკური სპორტის სახეობად ჩამოყალიბდა, არის ვიქსის პრინციპი – სხვადასხვა წონითი კატეგორიის სპორტსმენები რამდენ კილოგრამს აწევენ. აქამდე დაუმარცხებელმა ძალოსანმა 2013 წელს ერთადერთი მარცხი განიცადა ქართველ **გიორგი ბეროშვილთან,** სადაც თემომ თავის წონაში მოიგო, მაგრამ აბსოლუტური წააგო. იგივე ვიქსის პრინციპით საქართველოში ჩატარებულ 2016 წლის შეჯბრებაში, „აი პი ეფ-“ის კვალიფიკაციით (სუფთებში, ანუ ვინც დოპინგს არ იღებს) **თეიმურაზ ლუტიძე** ჩემპიონთა ჩემპიონი გახდა.

ყველაზე წარმატებული ქართველი სპორტსმენის, პირველი **„აი პი ეფ“**-ის ჩემპიონის **შოთა ბეჟაშვილის** სახელობის ტურნირი საქართველოში ყოველ წელს ტარდება, მისი სახელობის თასი კი გამარჯვებულ სპორტსმენს გადაეცემა, რომელიც მას სახლში მიაქვს. ამჟამად, ეს თასი თეიმურაზთან ინახება, რადგან ის 2017 წლის ტურნირის გამარჯვებულია. წარმატებული სპორტსმენი მოსწავლეებსაც ავარჯიშებდა და სხვადასხვა შეჯიბრში მსაჯიც არაერთხელ ყოფილა. მისი ერთ-ერთი მოსწავლე **ირაკლი უნგიაძე** ევროპის თასის მფლობელი გახდა.

საქართველოში მიღწეული წარმატებები მართლაც რომ საამაყოა, ამერიკაში კი ყველაფერი ნულიდან დაიწყო. იქ მოღვაწე ქართველი სპორტსმენების ცხოვრება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთხელ გაგვიშუქებია. იქ ისინი აქტიურად ვარჯიშობენ, ყოველდღიურად სპორტდარბაზებში დადიან, ფორმას იუმჯობესებენ და სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობენ.

2017 წლის ნოემბერში, **ფლორიდაში**, ქალაქ **ქისიმიში** ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე, ქართველი სპორტსმენი უდაო ჩემპიონი გახდა და რეკორდიც დაამყარა, დოპინგ

კონტროლის გავლით, 230 კგ აწია წოლჭიმში და ადრიანო ოკამპოს აჯობა. წარმატების სიხარული არც 2018 წელს მოკლებია, როცა ამერიკის ჩემპიონი კვლავ ქართველი და კვლავ **თემო ლუტიძე** გახდა და ისევ გაუმჯობესებული რეკორდი – 234 კგ; წლის ბოლოს კი კიდევ ერთხელ მოგებული მსოფლიო ჩემპიონატი.

სპორტი სწორედ ის ადგილია, სადაც შენს თავს აუცილებლად იპოვი. ამ დევიზით ზრდის თავის 3 შვილს **თემო ლუტიძე.** მისი 15 წლის ვაჟი **დათუნა ლუტიძე** ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში თბილისის პრიზიორი და შიდა ტურნირების გამარჯვებულია, საქართველოს ჩემპიონატზე კი ჯერჯერობით, მე-4 ადგილს დასჯერდა. იმედია, წარმატებები არც მას მოაკლდება.



იმისათვის, რომ სპორტსმენმა შეჯიბრებაზე მოახდინოს თავისი ფიზიკური პოტენციალის მაქსიმალური რეალიზება, თავდაუზოგავი შრომაა საჭირო. თავისუფლების ქვეყანაში კი ამის უდიდესი შესაძლებლობებია. **თეიმურაზ ლუტიძის** სურვილი **„არნოლდ კლასიკზე“** გამოსვლაა, სადაც ისეთი წონის აწევაზე ოცნებობს, ადამიანებს განცვიფრებაში რომ მოიყვანს. იქ სპორტის ამ სახეობას სხვანაირად უდგებიან, დაინტერესებული სპონსორები კომერციულ შეჯიბრებებზე გამოსვლის შესაძლებლობას აძლევენ და მათი შრომა დაფასებულია. და როგორც თემო ამბობს – ეს არის ქვეყანა, რომელიც გეუბნება: იშრომე პატიოსნად, კეთილსინდისიერად და გექნება ყველაფერი. თებერვალში ფედერაციის პრეზიდენტის **ტროი ფორდის** შეთავაზებით, შტატებს შორის ადგილობრივ შეჯიბრებაში უნდა მიიღოს მონაწილეობა, რაც იმედი გვაქვს, 2019 წლის წარმატებული სეზონის დასაწყისი იქნება.

ნათია გურგენიძე

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ N1 (4576)
30 იანვარი / 2019 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედაქტორები
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 557 208 504; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; კონსტანტინე გურგენიძე 555 960 246; თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული მომსახურება) 599 44 98 48;

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009